


F 65.883

3

20.697
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სბსრსპი შსშსრ



ს ბ ს რ ს პ ი
იქნა სპთ. ინგოგოგუპას მიმრ.

ბათობი—1928 წ.

Handwritten notes in Georgian script, including the word 'წიგნი' (book).

წიგნი
1825 წ. 29/1

სიმონი

შენიშვნები

სიმონი

წიგნი სიმონი. იმპერატორის მიერ.

~~1820~~
3
F 65.883



წინასიტყვაობა.

აგარაკ ბახმაროს საკითხი ერთობ ძველია, მაგრამ ამავე დროსმუდმივად ახალია, ვინაიდან სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით ეს საკითხი გადაჭრილათ არ ჩაითვლება.

ყველამ იცის, თუ რამდენათ გავრცელებულია **ტუბერკულოზი** ყველგან და რასაკვირველია, საქართველოშიც, კაცობრიობას არ ჰყავს უფრო დაუძინებელი და ულმობელი მტერი, ვინემ ტუბერკულოზი. ტუბერკულოზი უაღრესად სოციალური სენია.

აგრეთვე ცნობილია, თუ როგორ ხანგრძლივ და საოცარ სულიერ ტრადედიას განიცდის ქლექით შეპყრობილი ავადმყოფი და როგორ გაუთავებელ ტანჯვა-წვალებაში კვდება ის.

სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით მეცნიერებას არა აქვს **სპეციფიური** საშვალება ტუბერკულოზის წინააღმდეგ. მომავალში შესაძლებელია საექიმო მეცნიერებამ შესძლოს ასეთი სპეციფიური საშვალების აღმოჩენა ქლექის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ არ გვგონია, რომ **კლიმატიური** ექიმობა ტუბერკულოზით შეპყრობილ ავადმყოფთათვის თდესმე საჭირო არ დარჩეს. ეხლა კი კლიმატიური ექიმობა სხვა საშვალებებთან შედარებით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანათ და საიმედოთ უნდა ჩაითვალოს ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სტატისტიკური ცნობები პირდაპირ შეშაძრწუნებელ სურათს იძლევიან ქლექის გავრცელების შესახებ. საერთოდ მიღებულია, რომ შვიდზე ერთი კვდება ქლექით. თუ ავიღებთ ზოგიერთ დიდ ქალაქებს მაგ. **პარიზს**, სტატისტიკური ცნობებით, ხუთზე ერთი კვდება ქლექით. გერმანიის დიდი ქალაქების სტატისტიკური ცნობების მიხედვით მიცვალებულთა 30% აქვს ტუბერკულოზის ნიშნები ფილტვების მწვერვალებში, მაგრამ ამ 30% უმეტესობა მორჩენილა და სხვა რომელიმე ავადმყოფობიდან მომკვდარა, ბევრი კი აქტიური ქლექის პროცესის მსხვერპლი შექნილა.

პროფ. Brouardel-ის გამოკვლევით მოკლულთა გვამებს, რომელნიც გაკვეთილ იქმნენ „**მორგში**“, ნახევარზე მეტს აღმოაჩნდა აქტიური ან მორჩენილი ტუბერკულოზის ნიშნები. პროფ. Letulle-ს გამოკვლევით 189 გვამის გაკვეთიდან 92 აღმოაჩნდა ძველი ტუბერკულოზის ნაშთები. რაც შეეხება **პლევრიტებს**, ეს ხომ ერთობ ხშირათ არის ტუბერკულოზის ნიადაგზე.

თუ ტუბერკულოზით ავადმყოფობა ასე გავრცელებულია ევროპაში, სადაც სანიტარული წესები შედარებით დაცულია, როგორ გარვცელებული უნდა იყოს ეს სენი კულტურულად და სანიტარულათ ჩამორჩენილ ქვეყნებში!

ზემო აღნიშნული სტატისტიკური ცნობები, შესაძლებელია, ცოტათი გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ერთი რამ კი შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ არც ერთი სერიოზული ქრონიკული ავადმყოფობა არ არის ისე გავრცელებული, როგორც ტუბერკულოზი.



ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით ზოგიერთ ალაგას, როგორც მაგ. გუბიანიში სამეგრელოში ტუბერკულოზი საოცრად გავრცელებულია და შეიძლება ითქვას, რომ თუ ამოდენა ხანს გურია ფიზიკურ გადაგვარების გზას არ დადგომია, ეს უმთავრესად ბახმაროს ჰაერის გავლენით აიხსნება.

მალარია არა ნაკლებ გადაგვარებას უქადის ჩვენ ხალხს, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ტუბერკულოზს შემდეგ აგარაკ ბახმაროს ჰაერის სამკურნალო თვისებები ყველაზედ უფრო ძლიერათ მალარიაზედ გავლენით გამოიხატება. ჩვენ არ ვიცით **საქართველოში** მეორე აგარაკი, რომელიც ბახმაროს წინ იდგეს თავისი ჰაერის გავლენით მალარიით შეპყრობილ ავადმყოფებზედ.


როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის მტერი უმთავრესად ორი ავადმყოფობაა: ტუბერკულოზი და მალარია და, თუ მართალია, რომ ბახმაროს ჰაერი აღნიშნულ ორი ავადმყოფობისათვის, თუ შეიძლება ითქვას, სპეციფიურია, მაშინ აგარაკი ბახმარო დიდ ეროვნულ განძად უნდა ითვალოს, რომელსაც შემდეგში, ჩვენი ღრმა რწმენით, **განთქმული კურორტი** მნიშვნელობა შეიძლება დაურჩეს, თუ ბახმაროს განვითარება მოხდება შესაფერ პირობებში.

მიუხედავად ბახმაროს ასეთი სამკურნალო თვისებებისა, ბახმარომ რაღაც გაუგებარი მიზეზების გამო ვერ დაიმსახურა ის ყურადღება, რომლის ღირსი ის უდავოდ არის. ცნობილია, რომ ბუნება ერთობ ძუნწია პირველ ხარისხიან კურორტებზე: უმთავრესად შვეიცარიაში მოიპოვება რამოდენიმე განთქმული აგარაკები, რომლებიც ითვლებიან მსოფლიო კურორტებათ.

რამდენათ ჩვენი ახალგაზრდა უნივერსიტეტი სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ და ვითარდება საექიმო მეცნიერული გამომცემლობა, იმდენათ ჩვენი საექიმო ლიტერატურა ღარიბია პოპულიარული გამოცემებით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, როგორც მაგ. ბახმაროს საკითხია. სწორეთ ამის გამო გადავსწყვიტეთ ამ პატარა პოპულიარული შრომის გამოქვეყნება.

ჩვენ დაწმუნებული ვართ, რომ ეს იქნება პატარა დასაწყისი ბახმაროს პოპულიარობის და მომავალში ჩვენი საექიმო ძალების მიერ გამოიყვება სერიოზული მეცნიერული შრომები აგარაკ ბახმაროს შესახებ.

ექ. ავთ. ინგოროყვა.





ორმოცი წლის ფაქტიური არსებობის შემდეგ, როგორც უაღრესად პოპულარული აგარაკი, ისტორიულად განაწამები **ბახმარო**, როგორც იქნა უკანასკნელად აღიარებულია საქართველოს პირველხარისხიანი კურორტათ. როგორც აღნიშნულია ამ კატარა შრომაში, პირველათ საკურორტო კომისია ეწვია ბახმაროს 1920 წელში, შემდეგ სამეცნიერო ექსპედიცია პროფ. გოგოტიძის და პროფ. ალადაშვილის მეთაურობით—1922 წელში და უკანასკნელად 1927 წლის სეზონში ბახმაროზე ავიდა ლენინგრადის სამეცნიერო ექსპედიცია პროფ. კალიტინის მეთაურობით.

ბახმარო მთავრობის მიერ 1922 წლიდან გამოცხადებულია სახელმწიფო კურორტათ. 1925 წლის მაისის თვეში ბახმაროს საკითხი მოხსენდა სრულიად საქართველოს ექიმთა სამეცნიერო მეოთხე კონგრესს. **კონგრესმა ერთხმად აღიარა ბახმარო პირველხარისხიანი კურორტათ და გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია.** წელსკი, 1928 წლის თებერვლის თვეში, სრულიად საქართველოს პირველმა საორგანიზაციო-სამეცნიერო-საკურორტო ყრილობამ სავსებით გაიზიარა პირველი და მეორე სამეცნიერო ექსპედიციების და სამეცნიერო კონგრესის დადგენილება და უკანასკნელად უდაოთ მიაკუთნა **ბახმარო საქართველოს პირველხარისხიანი კურორტებს და დაადგინა გაყვანილ იქნას საავტომობილო გზა ოზურგეთ-ვაკიჯვარ ბახმაროს მიმართულებით და უნდა მოეწყოს ბახმარო თანახმად არსებული საკურორტო წესებისა.** მთავრობის წარმომადგენელმა საქართველოს კურორტთა მთავარ სამმართველოს უფროსმა ექიმმა მამალაძემ ოფიციალურად შემდეგი განაცხადა საკურორტო ყრილობაზე: „მთავრობა სთვლის ბახმაროს დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის კურორტათ და აღიარებს, რომ გზის გაყვანის და სათანადო მოწყობის შემდეგ ბახმარო აუცილებლად შეიქნება საკავშირო კურორტიო“.

ასე, რომ ბახმაროს საკითხი სავსებით გადაიჭრა. რაც შეეხება გზის გაყვანას და ბახმაროს სათანადო მოწყობას, როგორც პირველხარისხიანი კურორტის, ეს მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის კომპეტენციას შეადგენს. უნდა ვიფიქროთ, რომ ბახმაროს საკითხი პირველ რიგში სდგას და შესაძლებლობის ფარგლებში საქართველოს მთავრობა არ დააყოვნებს საქართველოს ამ დიადი ჯანმრთელობის ეროვნულ განძის საკითხის პრაქტიკულათ გადაჭრას.

ეხლა ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ 1924 წელში გამოცემულ წიგნაკში შეიპარა რამოდენიმე უნებლითი შეცდომა, სახელდობრ: შედარებითი სინესტე ბახმაროზე აღნიშნულია 50, უნდა იყოს 60-75; სიმაღლე აგარაკის ცენტრალურ მოედანზე ნაჩვენებია 1830 მეტრი, უნდა იყოს 2027 მეტრი, ბარომეტრიული წნევა აღნიშნულია 0-მ.59 ანუ 590 m.m., უნდა იყოს 600 m.m. და ბოლოს—აღნიშნულია, რომ მოაგარაკეთა რიცხვი ყოველწლივით მატულობს და ხანდახან აღწევს 5.000, უნდა იყოს 15.000 რაც შეეხება ბახმაროს შესახებ 1924 წლიდან შეკრებილ ახალ მეცნიერულ ცნობებს, ასეთები მრავლად მოიპოვება, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო ჩვენ გვსურს მხოლოდ ორიოდ სიტყვით შევეხოთ პროფესორ კალიტინის უკანასკნელ ექსპედიციის მიერ შეკრებილ ცნო-



ბებს, სახელდობრ მზის რადიაციის და ჰაერის სისუფთავის შესახებ ბახმარო-ზე და შევადაროთ ეს ცნობები აბასთუმან-ბორჯომის შესახებ ცნობებს. აღნიშნული ცნობები ჩვენ გადმოგვცა მეტეოროლოგმა ჭირაქაძემ, რომელიც პირადად აღებულობდა მონაწილეობას ექსპედიციაში. ბახმაროზე მზის რადიაცია კალორიებში ეთანასწორება ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე—1,50 კალ., აბასთუმანში არაზინდოს რაიონში ეთანასწორება—1,44 კალ., ბორჯომში ეთანასწორება—1,33 კალ. ეხლა შევეხოთ მტვერის ნაწილაკების რაოდენობას ჰაერში ერთ კუბიკურ სანტიმეტრში: ბახმაროზე—200-400-მდე; აბასთუმანში არაზინდოს რაიონში—400-600-მდე; ქვემო აბასთუმანი—4,000 (ეს ციფრი ერთობ ცვალებადია, ხშირად ნაკლებია); ბორჯომში პლატო—1,000; ბორჯომ-პარკი 6,000—8,000. კომენტარიები ზედმეტად მიგვაჩნია. რაც შეეხება მზის ნათების ხანგრძლივობას—ბახმაროზე საშვალოდ ეთანასწორება 12 საათს, აბასთუმანში კი 6,3 საათს. საერთოდ მზიანი დღეების რაოდენობის შესახებ ბახმაროზე მეტეოროლოგ ქურდიანს შეუკრებია ფრიად საინტერესო ცნობები რვა თვის განმავლობაში, ე.ი. მარტიდან დაწყებული და გათავებული ოქტომბრის თვით. თანახმად აღნიშნული ცნობებისა, ამ რვა თვის განმავლობაში მრავალია თვე, რომელშიდაც მზიანი დღეების რაოდენობა 25-ს ეთანასწორება.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ, სამწუხაროთ, სხვა და სხვა მიზეზების გამო ჩვენს მიერ 1924 წელში გამოცემულ წიგნაკში არ მოხერხდა ბახმაროს პეიზაჟების მოთავსება. ეხლა ამ ნაკლს ვასწორებთ და ვაარგებლობთ შემთხვევით, რომ მადლობა გამოუცხადოთ ახალგაზრდა მხატვარს ძნელაძეს, რომელმაც ბახმაროს სრულიად პრიმიტიულ პირობებში პროვინციალურ ფოტოგრაფის საშუალებით შესძლო ოდნავად მაინც გადმოეცა ბახმაროს შეუდარებელი და დიადი ბუნება.

ემ. ავთ. ინგოროვა.



„კაცობრიობის უსაშინელესი მტერი არის ტუბერკულოზი; ტუბერკულოზის უსაშინელესი მტერი არის ბახმარო“.

საექიმო მეცნიერებამ არ იცის მეორე ავადმყოფობა, რომელიც ისეთ მუსრს ავლებს კაცობრიობას და რომელთანაც ბრძოლა ისეთი საძნელო იყოს, როგორც არის ტუბერკულოზი. ეს უღმობელი სენი პირდაპირ აჩრდილს წარმოდგენს კულტურული კაცობრიობისათვის. ხშირათ იმეორებენ და მართალიც არის, რომ არც ერთ განმანადგურებელ ომს არ შეუწირავს იმოდენა მსხვერპლი, რამდენსაც იწირავს ტუბერკულოზი.

ზემო აღნიშნული პატარა აფორიზმი, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, ჩვენ გვსურს ვირწმუნოთ, რომ ახლო მომავალში პოპულარული შეიქნება ქართულ საექიმო წრეებში და ბოლოს და ბოლოს ყველასათვის მისაღებ ქეშმარიტებათ გადაიქცევა.

რომელ ქართველს არ გაუგონია აგარაკი ბახმარო? თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტუბერკულოზით შეპყრობილ ავადმყოფებში აგარაკი ბახმარო ბადებს პირდაპირ წარმოდგენელ იმედებს ხსნისას. არა ერთხელ გაგვიგონია ასეთი ავადმყოფებისაგან: „ერთხელ კი ვნახო ბახმაროს კალოები და შემდეგ მოვკვდე, აღარ ვინანებ, ბახმარომ თუ ვერ მომარჩინა, მე სასიკვდილოთ განწირული ვყოფილვარ და ბედს უნდა შევეურიგდეო“.

ასეთი ძლიერია ბახმაროს რწმენა! მაშ გავითვალისწინოთ მოკლეთ, სქემატიურად ბახმაროს ისტორია: როგორ აღმოაჩინეს ის, როგორ განვითარდა და სხვა

ბახმაროს აღმოჩენა, როგორც აგარაკი, უკვდავ ყოფს გურიაში ცნობილ ოზურგეთელ ექიმ დავიდ ანცის სახელს. ექიმმა დავიდ ანცმა დაახლოებით 30 წ. წინეთ ინახულა ორიოდ ავადმყოფი, რომლებიც? შეპყრობილი იყვნენ ტუბერკულოზით და ქონდათ, სხვათაშორის, პირიდან სასტიკი სისხლის დენა. ერთი მათგანი იყო მღვდელი ნ. კ., რომელიც ეხლაც ცოცხალია.

აღნიშნულ ავადმყოფთ არ ჰქონდათ საშვალეობა სადმე ცნობილ აგარაკზე წასულიყვნენ და ამის გამო ექიმმა ურჩია მათ სადმე მალაღ



ადგილას წასვლა. ეს ავადმყოფები წაყვნიან მწყემსებს ტყეში და, შემდეგ გამოირკვა, ზაფხული გაატარეს ბახმაროს რაიონში. შემდეგ ისევ ეჩვენენ ექიმ დავიდიანცს და დავიდიანცის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა იმ საოცარი ცვლილებების გამო, რომლებიც მომხდარიყო ავადმყოფთა ფილტვებში ჰაერის გავლენით.

ექიმმა დავიდიანცმა კარგათ გამოკითხა აღნიშნულ ავადმყოფებს, თუ რა ალაგას იყვნენ ისინი, შემდეგ როგორც მაზრის ექიმმა მოსთხოვა მაზრის უფროსს ჩაფრები და რაინდული სიმამაცით გაემგზავრა აღნიშნული ადგილის ს. ძებნათ. დიდი განსაცდელის შემდეგ მიაკვლია ექ. დავიდიანცმა ბახმარო და პირველათ სთქვა, როგორც ექიმმა, რომ აქ უნდა განვითარდეს აგარაკი, და პირველი სახლი ბახმაროზე მან ააგო. შემდეგ კი აგარაკმა ბახმარომ მიიპყრო ხალხის ყურადღება და დაიმსახურა ისეთი ნდობა, როგორც ზემოთ არის აღნიშნული.

აგარაკი ბახმარო მდებარეობს **ტრადიციული გადმოცემით 6500 ფუტის ან დაახლოვებით 2000 მეტრის სი ალღეზე.** ჩვენის აზრით ეს ტრადიციული ცნობა ცოტათი გადაჭარბებული უნდა იყოს.


თავიდანვე უღრმესი მწუხარებით უნდა აღინიშნოს, რომ ნამდვილი მეცნიერული გამოკვლევები ბახმაროს შესახებ ამოდენა ხანს არც კი არსებობდა. მხოლოდ 1922 წლის სეზონში ბახმაროზედ იყო ამოღებული საკურორტო სამმართველოს მიერ გამოგზავნილი **სამეცნიერო ექსპედიცია** საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ძალთა სახით, პროფესორების **აღ. ალ. დაშვილის** და **ს. გოგ ტიძის** მეთაურობით. აღნიშნულ ექსპედიციის ბახმაროზე ასვლამ დიდი იმედები დაბადა ხალხში ბახმაროს მომავლის შესახებ.

ბახმაროს ისტორია. როგორც აგარაკის, დაახლოვებით **28 წლით** განიზომება. ბახმაროს მდებარეობა ერთობ იშვიათი და ორიგინალურია: ის **შემორტყმულია** გარშემო დიდი მწვერვალებით და აქის გამო სრულიად დაცულია ქარისაგან, რაც უდიდეს დადებით მხარეთ უნდა ჩაითვალოს აგარაკ ბახმაროსი. მდებარეობით ბახმარო, ჩვენის აზრით, უფრო შეედრება შვეიცარიის ზოგიერთ განთქმულ კურორტებს, რომლებიც ჩვენ ხშირად გვინახავს შვეიცარიაში სტუდენტობის დროს, ვინემ საქართველოს სხვა კურორტებს.

ბახმაროს ბუნება ხომ პირდაპირ თვალწარმტაცი — კეკლუცია, გარშემორტყმული მშვენიერ ნაძვნარით. ვისაც ერთხელ უნახავს ბახმაროს ბუნება, ის არასოდეს არ დაივიწყებს მას, ისეთ ღრმა და უკვდავ შთაბეჭდილებას სტოვებს ადამიანის ფსიხიკაზე აღნიშნული ბუნება.

როდესაც ხალხი, ცოტათ თუ ბევრათ, გაეცნო ბახმაროს თვისებებს, თვითონვე დააფასა ის, ვინა-დან მას სხვა სპეციალისტები, სამწუხაროდ, არ აღმოაჩინდენ გზის მაჩვენებელნი. რაც გაკეთებულია ამ ჟამად ბახმა-

ՆԱԿԻՆԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ



ԳՐԱԳՐԱԿԱՆ
ՆԱԿԻՆԻ





როზე, ყველა ეს არის მხოლოდ და მხოლოდ გურული ხალხის მოქმედება. არც ერთი მთავრობის ხელი აქამდის აქტიურად არ ჩა-
რევია ბახმაროს საქმეებში, მიუხედავად მრავალჯერ შუამდგომლობისა.

მხოლოდ 1920 წელში ბახმაროზე ამოვიდა საკურორტო კომისია, საკურორტო მართველობის მიერ გამოგზავნილი, დაათვალიერა ბახმარო, გაეცნო მის თვისებებს და გაბრუნდა იმ დაპირებით, რომ მომავალი სეზონისათვის ბახმარო აუცილებლათ გამოცხადებული იქნებოდა **ოფიციალურ კურორტად** და მიღებული იქნებოდა ყოველივე ზომები აგარაკის წესრიგში მოსაყვანათ, ნაძვნარის დასაცავათ და სხვა.

1922 წლის სეზონში კი, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ბახ-
მაროზე იყო ასული სამეცნიერო ექსპედიცია.

მიუხედავად პირდაპირ ჯოჯოხეთური გზისა და აგარაკის სრულიად მოკუწყობლობისა, მოაგარაკეთა რიცხვი ყოველ წლებით მატულობს და ხან და-ხან აღწევს 15000-ს.

ბახმაროს ჰაერი ერთობ შეზავებულად უნდა ჩაითვალოს, თუ მივი-
ღებთ მხედველობაში აგარაკის დიდ სიმაღლეს. ბახმაროზე რომ ჰაერი ასეთი შეზავებულია, პროფ. ალადაშვილის აზრით, ეს სხვათა შორის ზღვის სიახლოვეთ აიხსნება.

თუ შევადარებთ ბახმაროს სიმაღლეს **შვეიცარიის კურორტების** სი-
მაღლეს, დავინახავთ, რომ ბახმაროსავით მაღალი კურორტი შვეიცა-
რიაშიც არ ყოფილა. აღვნიშნავთ შვეიცარიის ზოგიერთი კურორტების
სიმაღლეს: Leysin (1450 მეტრი), Davos-Platz (1558 მეტრი), Saint-
Moritz (1856 მეტრი) და Arosa (1872 მეტრი). აგარაკ ბახმაროს სი-
მაღლე კი, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, ტრადიციული გადმოცემით
2000 მეტრს უდრის.

ბახმაროს საზაფხულო სეზონი შეიძლება ჩაითვალოს სრული სამი
თვე: 15 ივნისიდან 15 სექტემბრამდე. 1922 წლის სეზონში
ბახმაროზე დარჩა სექტემბრის ბოლომდის რამოდენიმე მოაგარაკე და
მათი გადმოცემით სექტემბრის თვეში მშვენიერი დღეები იყო. ერთ
დღეს ბახმაროს ახლო-მახლო მოვიდა პატარა თოვლი, რომელიც საო-
ცარი სისწრაფით დადნა. თოვლის დროს, მოაგარაკე ინჟინერის გადმო-
ცემით, ბახმაროზე მზეზე საგრძნობი სიცხე იყო. ამის გამო შესაძლებე-
ლია ვიფიქროთ, რომ ბახმარო **საზამთრო** კურორტიც იყოს, თუმცა ეს
ჯერ-ჯერობით სამწუხაროდ სრულიად გამოურკვეველია.

ბახმაროს საზაფხულო სეზონში მზიანი დღეები სრულიად საკმარისია. წვიმის შემდეგ ბახმაროს მიდამო იშვიათი სისწრაფით შრება. სი-
ცივე ბახმაროზე ზაფხულის სეზონში სასტიკი არ არის. მიუხედავად სახ-
ლების სრული უვარგისობისა და სახლებში ღუმელების და ბუხრების



უქონლობისა, ბახმაროს სიცივეს აღვილათ იტანებენ მძიმე ავადმყოფობი და უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი ქლექიანებიც კი.

კარგი მზიანი დარის დროს ბახმაროზე ერთობ საგრძნობი სიცხე არის, ვინაიდან, როგორც სჩანს, ბახმაროზე ძლიერია მზის სხივების რადიაციისა და ალბათ ამით აიხსნება ზემოთ აღნიშნული ცნობა, რომ თოვლის დროსაც ბახმაროზე მზეზე საგრძნობი სიცხეა.

ბახმაროს ჰაერი ერთობ სუფთა არის, ვინაიდან ბახმაროს ჰაერში მიკრობები არ უნდა იყოს და, რასაკვირველია, მტვერი და გაზებიც, რომლებიც ნორმალურათ ჰაერში არ მოიპოვებიან. კარგი მზიანი დარის დროს ბახმაროს ჰაერი დიდათ გამჭვირვალეა, ვინაიდან ამ დროს აღნიშნულ ჰაერში ერთობ ცოტაა წყლის ორთქლი. ამსოლიუტურათ არ შეიძლება ითქვას, რომ ბახმაროს ჰაერში ვერ იარსებებს კობის ჩხირები, მაგრამ ერთი რამ კი გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ კობის ჩხირების განვითარება ბახმაროს ჰაერში ულრესად შეფერხებულია, თუ მბვილეთ მხედველობაში საერთო დებულებას, რომ რამდენათ მთა მაღალია, იმდენათ იქ ტუბერკულოზი უფრო და უფრო იშვიათი ხდება.

ეს პრინციპი არა თუ მთებს, ქალაქებსაც შეეხება. Jordanet-მ 1865 წელს დაამტკიცა, რომ ტუბერკულოზი ბევრათ უფრო იშვიათია სატახტო ქალაქ მექსიკოში, რომელიც 2000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, ვინემ სხვა სატახტო ქალაქებში. სტატისტიკური ცნობებით მექსიკოში 18-ზე ერთი კვდება ქლექით, როდესაც ლონდონში რვაზე ერთი კვდება ქლექით და პარიზში ხუთზე ერთი.

თავის თავად ცხდია, რომ ჰაერის შემადგენლობა მაღალ მთებზე არ იცვლება: გაზების პროპორცია იგივე რჩება. მაგ. 210/0 პროცენტი ყოველთვის მთავადია ჰაერში, აზოტის პროპორცია იგივეა, ნახშირმჟავა სულ ცოტათი ნაკლებია მაღალი მთის ჰაერში, ოზონი კი ბევრათ მეტია. თუმცა პროპორცია გაზების მაღალი მთის ჰაერში რჩება იგივე, მაგრამ მათი წონა განსხვავდება (ჰაერის ფენები ნაკლებია) და ამის გამო ჰაერის დაწოლაც კლებულობს იმდენათ, რამდენათ მთა მაღალია.

მეცნიერების გამოკვლევით, ყოველ 115 მ ტრის სიმაღლეზე ბარომეტრული დაწოლა კლებულობს ერთი სანტიმეტრით მაგ. თუ ზღვის დონეზე ჩვენ გაქვს ბარომეტრული დაწოლა 0 მ. 76, აგარაკ შავოსზე, რომლის სიმღლე ეთანასწორება 1558 მეტრს—ბარომეტრული დაწოლა უდრის 0 მ. 62; აგარაკ Saint-Moritz-ზე (1856 მეტრი) ბარომეტრული დაწოლა—0 მ. 60. თუ ვიხელმძღვანელებთ ამ დებულებით, აგარაკ ბახმაროზე, რომელიც დაახლოებით 2000 მეტრის სიმღლეზე მდებარეობს, ბარომეტრული დაწოლა უნდა იყოს დაახლოებით 0 მ. 59, ე. ი. 17 ს. უფრო ნაკლები ზღვის დონის ბარომეტრულ დაწოლაზე.

ჩვენი
თავის-თავად ცხადია, რამდენათ ჰაერის დაწოლა დაბალია და შეიძლება ასე ითქვას, რამდენათ ჰაერის სითხე (raréfaction de l'air) თვალსაჩინოა, იმდენათ ორგანიზმი იძულებულია უფრო ჩქარა ისუნთქოს და სერთოდ შეეწყოს მაღალი მთის ჰაერს, რომ სხეულის ეკვილიბრი დაცვას.

მარტლაც ასე ხდება მაღალ მთაზე და, როგორც ცნობილია, ეს არის მეცნიერების აზრით მაღალი ჰაერის უმთავრესი დადებითი მხარე.

ორგანიზმი იძულებულია შეეწყოს მაღალ ჰაერს სუნთქვის რაოდენობის მომატებით, წითელი სისხლის ბურთულების გამრავლებით და ხშირათ ჰემოგლობინის მომატებით. სწორეთ აღნიშნული ორგანიზმის ფუნქციები ერთობ ინტენსიური ხდება და აქედან იწყება მაღალი მთის ჰაერის ცხოველ-მყოფელი გავლენა ავადმყოფზე. ჩვენის დაკვირვებით აგარაკ ბახმაროზე კოტა გავლის შემდეგ სუნთქვის რაოდენობა ორჯერ მეტია.

„La véritable action curative de l'air modifié par l'altitude réside dans l'effort même que l'organisme est obligé de faire pour s'y acclimater“.

(Lagrange).

(ნამდვილი სამკურნალო გავლენა მთით შეცვლილი ჰაერის გამოიხატება თვით ორგანიზმის იძულებით ცდაში, რომ მთის ჰაერს შეეწყოს)

„La cure d'altitude facilite la rééducation respiratoire en augmentant la fréquence et l'amplitude des respirations: c'est une gymnastique méthodique inconsciente“.

(Jacoud).

(მთის ჰაერით ექიმობა აადვილებს სუნთქვის ვარჯიშობას სუნთქვის რაოდენობის და ამპლიტუდის გადიდებით: ეს არის მეთოდური უნებლიეთი გიმნასტიკა).

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ასე ხდება ბახმაროზეც და ჩვენ გვაქვს სამეცნიერო ექსპერიმენტის ლაბორატორიიდან ცნობები, რომ სისხლის წითელი ბურთულების რაოდენობა სისხლის კუბიკურ მილიმეტრში საოცრათ მატულობს ბახმაროს ჰაერის გავლენით და აგრეთვე მატულობს ჰემოგლობინიც. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამეცნიერო ექსპერიმენტის ლაბორატორია ამის შესახებ დეტალურ ცნობებს გამოაქვეყნებს.

რაც შეეხება ბახმაროს ჰაერის სინესტეს, უნდა აღინიშნოს, რომ საერთო პრინციპის მიხედვით ზამთრობით მაღალ ადგილებზე ერთობ საგრძნობი სიმშრალეა, ზაფხულში კი მაღალ ადგილებზე სინესტე განსაკუთრებით წვიმების და ნისლის დროს ხშირად ისეთივეა, როგორც



დაბალ ადგილებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბახმაროზე სინესტეზი-
სად საგრძნობი უნდა იყოს. ექსპერიციის ცნობების თანახმად, შედარე-
ბითი სინესტე 50-ს უნდა ეთანასწორებოდეს, მაგრამ ასეთი სინესტე,
ჩვენის აზრით, არ უნდა ჩაითვალოს საზიანოთ ფილტვებ-სუსტ ავადმ-
ყოფთათვის. რაც შეეხება მალარიის პლაზმოდების განვითარებას და
კოლოების არსებობას ბახმაროზე, ეს ყოვლად შეუძლებლად უნდა ჩაი-
თვალოს.

ზაფხულის სეზონში სიცხე რასაკვირველია ნაკლებია ბახმაროზე,
როგორც საერთოდ ყველა მაღალ ადგილებზე, მაგრამ როდესაც ბახმა-
როზე კარგი მზიანი დარი არის, მაშინ ერთობ საგრძნობი სიცხეა. აღ-
ბათ ეს იმით აიხსნება, რომ ბახმაროზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,
მზის რადიაცია ერთობ ძლიერია.

უამრავი ექიმური დაკვირვებებიდან სჩანს, რომ ბახმარო უნდა ჩაი-
თვალოს ფილტვებ-სუსტ ავადმყოფთათვის კურორტად, განსაკუთრებით
ტუბერკულოზით შეპყრობილ და აგრეთვე სხვა ქრონიკულ ფილტვე-
ბის და ფილტვის აპკის (პლევრა) დაავადებით ავადმყოფთათვის. ამ
მხრივ ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ ბახმაროს გავლენა განთქმულ კურორ-
ტების Leysin-ის და Davos-Platz-ის გავლენას.

დავოსის აღმოჩენის დროს ექიმმა Splengler-მა შეამჩნია, რომ და-
ვოსის რაიონში ტუბერკულოზით შეპყრობილი ავადმყოფები იშვიათი
იყვნენ და ამის გამო Splengler-ს მოუვიდა აზრი დაეარსებია სანატო-
რიუმი, რომელიც ეხლა მთელს ევროპაში განთქმულია.

ასეთსავე მოვლენას აქვს ადგილი ბახმაროს ახლოს მცხოვრებ აჭარ-
ლებში, რომლებშიც ქლეჩი იშვიათი მოვლენაა. გურიაში ზოგიერთ
აღივას სოფლურად ხსნიან ამ მოვლენას ორიგინალური სოფლური მო-
საზრებით: „აჭარლები „ურჯულონი“ არიან და იმიტომ არ ემართებათ
ქლეჩიო“. მართლაც აჭარლები ხშირად ყიდულობენ გურიის სოფლებში
ქლეჩით მომკვდარ პირების ტანსაცმელს და, როგორც სჩანს, არ ეშინიათ
ქლეჩის დამართების.

ბახმაროს გავლენა ქრონიკული ტუბერკულოზით შეპყრობილ
ავადმყოფებზე სასწაულისებურია. ასეთი ავადმყოფები ბახმაროზე დღეში
საშვალოთ იმატებენ ნახევარ გირ, და ხშირად დღიურათ ერთ გირ.
წონაში. საქართველოს რესპუბლიკის რომელ ექიმს არ უნახავს ქრო-
ნიკულ ტუბერკულოზით შეპყრობილი ავადმყოფი ბახმაროზე ექიმობის
შემდეგ და არ გაკვირვებულა იმ ცვლილებებით, რომლებიც მომხდარა
მის ფილტვებში.

ერთი რამ გადაჭრით შეიძლება ითქვას: პირველ პერიოდში ტუ-
ბერკულოზით შეპყრობილი ავადმყოფი, თუ ბახმაროს ორ-სამ სეზონით
ისარგებლებს და ავადმყოფის სხეული ერთობ დასუსტებული არ არის



კლდიანი ადგილები ნაძვნარში.



სხვა რაიმე ავადმყოფობით კიდევ, უმეტეს შემთხვევაში კლინიკურ რჩება ბახმაროს ჰაერის გავლენით და სათანადო ექიმობით: ფილტვის მწვერვალის სიკატრიზაცია ხდება.

ჩვენ გვსურს ორიოდე ობსერვაციით ნათელ ვყოთ ჩვენი აზრი. შეუძლებლათ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ყველა ის შემთხვევები ბახმაროს ჰაერის გავლენით ტუბერკულოზით შეპყრობილ ავადმყოფთა კლინიკურათ მორჩენის, რომლებიც ჩვენ პრაქტიკის განმავლობაში გვინახავს. ამ შემთხვევების აღწერას დასჭირდებოდა მთელი ტომი და ეს სრულიათ არ შეადგენს მიზანს ამ ჩვენი პატარა შრომის იგარაკ ბახმაროს შესახებ.

ო ბ ს ე რ ვ ა ც ი ა I.

ავადმყოფი 26 წლის ყმაწვილი კაცი ნ. კ. მოსკოვში ყოფნის დროს 1917 წ. იანვრის თვეში გამოაჩნდა პირიდან სისხლის დენა. პროფესორების შემოწმებით მას ჰქონდა მარჯვენა ფილტვის მწვერვალში თვალსაჩინო პროცესი ტუბერკულოზის ნიადაგზე. მაშინ ობიექტიურათ ეტყობოდა: **მიყრუებული ხმა** მარჯვენა ფილტვის მწვერვალთან, **მკვრივი ხუნთქვა** გაძლიერებული ამოსუნთქვით.

პროფესორის რჩევით ის სასწრაფოთ გამოემგზავრა საქართველოში და რამოდენიმე ხნით დარჩა ტფილისში, მაგრამ ავადმყოფმა ტფილისის ჰაერი ვერ აიტანა. ხშირად სიცხეს აძლევდა. ტფილისში კიდევ გაუმეორდა პირიდან სასტიკი სისხლის დენა მაღალი სიცხით და ჭრთი თვით ლოგანათ ჩავარდნით. ექიმების რჩევით ავადმყოფმა დასტოვა ტფილისი და გადავიდა გურიაში საცხოვრებლათ, სადაც თან და-თან უფრო ცუდათ ხდებოდა. ღამ-ღამობით ოფლი დაუწყო და საოცრათ გახდა. საღამოობით ხშირათ სიცხეს აძლევდა.

ავადმყოფმა ისარგებლა ბახმაროს სეზონით 1917 წელში, ბახმაროზე ის თვის გრძნობდა ძლიერ სუსტათ. რამოდენიმეჯერ ნახველში ჰქონდა სისხლი. პატარა გავლის შემდეგ სიცხე მატულობდა. ავადმყოფს ხშირად ემჩნეოდა გულის ფრიალი სასტიკი სისხლ-ნაკლებობის ნიადაგზე და ნახველს საკმარისად აძლევდა. ავადმყოფმა პირვილი სეზონის შემდეგ დიდათ მოიკეთა: წონაში საგრძნობლათ მოიმატა, ოფლიანობა ღამით აღარ ემჩნეოდა და დაბრუნდა ოზურგეთში.

შემდეგ ჩან ისარგებლა ბახმაროს სეზონით 1918 წ. და 1919 წელში და ავადმყოფი კლინიკურად სრულიად მორჩა, ფილტვის მწვერვალის სიკატრიზაცია მოხდა, ჩვეულებრივ მუშაობას მოჰკიდა ხელი და 1919 წლიდან დაწყებული ავადაც არ გამხდარა მძიმე ფორმის ინფლუენციით. და ან სხვა რაიმე ავადმყოფობით. ეწევა ერთობ ინტენსიურ მუშაობას, მაგრამ ეს სრულიად არ მოქმედობს ცუდათ მის ჯან-




მრთელობაზე, თან-და-თან უფრო ჯანსაღათ გამოიყურება და მატულობს: ეხლა იწონის ექვს ფუთზე მეტს.

უნდა აღანიშნოს, რომ ბახმაროს ჰაერი ახდენს იშვიათ გავლენას არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ფილტვის ერთ მწვერვალშია დაწყებული პროცესი. ჩვენ გვქონდა ბევრი შემთხვევა, როდესაც ავადმყოფობა არ იყო ახალი და ფილტვების ორთავე მწვერვალში არსებობდა პროცესი და ავადმყოფს ეჩინებოდა ისეთი ნიშნები, რომლებიც ნათლათ ჰყოფდნენ, რომ ავადმყოფობა პირდაპირ გადადიოდა მეორე პერიოდში, მაგრამ ასეთ ავადმყოფებზეც, ვიმეორებთ, ბახმაროს ჰაერი ახდენდა იშვიათ გავლენას.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი: ასეთ შემთხვევებში ბახმაროს ჰაერი ერთი დაკვირვება მოჰმედობს. ხშირად ასეთი ავადმყოფები პირველათ ბახმაროზე ამოსვლისას უფრო ცუდათ ხდებიან და ლოგინათ ვარდებიან, აქვთ აგრეთვე მაღალი სიცხე. არის ისეთი შემთხვევებიც კი, რომ აღნიშნული კატეგორიის ავადმყოფები პირველი სეზონით არ არიან კმაყოფილნი. მაგრამ ხედავთ, მეორე სეზონში ეს ავადმყოფები ისევ ამოსულან ბახმაროზე და რომ ეკითხებით მათ, თუ როგორ გრძნობენ თავს, ისინი გიპასუხებენ, რომ პირველ სეზონში მათ თვალსაჩინო გავლენა ვერ შეამჩნიეს, მეორე სეზონში კი უფრო დიდ გავლენას ატყობენ.

იგივე ავადმყოფები ამოდიან ბახმაროს მესამე სეზონში ბევრათ უფრო მოკეთებულნი და შემდეგ ისინი ჩვეულებრივ ცხოვრებას კიდებენ ხელს და ცხოვრების ბრძოლაში ჩათრეულნი ვეღარც კი ახერხებენ ბახმაროზე კიდევ წასვლას, მაგრამ მათი ფილტვები იმდენათ მაგრდება, რომ მათთვის შესაძლებელი ხდება ცხოვრებისათვის საჭირო ენერჯის დახარჯვა, მხოლოდ ხან-და-ხან თუ სარგებლობენ ბახმაროს სეზონით, როდესაც თავს განსაკუთრებულ სისუსტეს შეატყობენ. ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდება, რომ ავადმყოფი კლინიკურათ რჩება და ფილტვების ორივე მწვერვალის სიკატრიზაცია ხდება.

რაც შეეხება განვითარებულ, მეორე პერიოდში მყოფ ავადმყოფებს, აქ რა საკვირველია ბახმაროს ჰაერს არ შეუძლია ისეთი გადამკრელი გავლენა მოახდინოს, როგორც პირველ პერიოდში, მაგრამ ჰაერის გავლენით მდგომარეობა საგრძნობლათ უმჯობესდება: სიცხე კლებულობს და ნორმალურიც ხდება, თუ ავადმყოფი სრულ ჰიგიენურ ცხოვრებას ეწევა, მადა მატულობს, ავადმყოფი წონაში საგრძნობლათ მატულობს, ფერი ბევრათ უკეთესი ედება და საერთოდ ავადმყოფი ბევრათ უფრო ცოცხლდება. ფილტვებში მდგომარეობა უმჯობესდება და ყოველ შემთხვევაში ფილტვების დაზიანება წინ აღარ მიდის: პროცესი ჩერდება და ხან-და-ხან ბახმაროს სასწაულისებური გავლენის ფილტვებში საოცარი ცვლილებები ხდება და ავადმყოფი კლინიკურად რჩება.



სახლი ნაქვენარში.



საერთოდ უნდა ითქვას, რომ დროებით მაინც პროცესი ფილტვებში მიდუნებულია: თითქოს კოხის ჩხირებმა დაჰკარგეს თავისი გავლენა სხეულზე.

ამ პროცესის მიდუნების ხანგრძლივობა დამოკიდებულია ორგანიზმის რეაქციაზე. აქ ნიადაგს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ავადმყოფის მომავლისათვის: რამდენათ ავადმყოფობამდის ძლიერი იყო ორგანიზმი და რამდენათ მასში მეტი იყო სიცოცხლის ენერგია, რამდენათ სხეული ავადმყოფობამდის დაავადებული არ იყო ან შთამომავლობის ნიადაგზე (შთამომავლობითი ტუბერკულოზისადმი მიდრეკილება) ან სხვა სენის ნიადაგზე, იქნებ ორგანიზმს მეტი შანსები აქვს ავადმყოფობა სძლიოს და კლინიკურათ მორჩეს.

თავის-თავად ცხადია, რომ ასეთ გავლენას ბახმარო ასეთ ფრიად მძიმე ავადმყოფებზე მხოლოდ და-მხოლოდ თამოდენიმე სეზონის განმავლობაში ახდენს.

ო ბ ს ე რ ვ ა ც ი ა II.

ავადმყოფი, 17 წლის მოწაფე ქალი ა. ი. უკვე 1919 წლიდან ემჩნეოდა მარჯვენა ფილტვის მწვერვალში პროცესი. დრო გამოშვებით უშვებოდა პარიდან სისხლის დენას სიცხის მომატებით და ლოგინათ ჩავარდნით. ამასთან ავადმყოფს ემჩნეოდა ისტერიის ნიშნები, ვინაიდან დედა იყო შეპყობილი ისტერიით და მამა ჰყავდა ლოთი. ავადმყოფს მარჯვენა ყბის ქვეშ ერთობ გაღივებული ჰქონდა ჯირკვლები.

მაუხედავათ იმისა, რომ ექიმობა, მოვლა და კეზა განსაკუთრებული ჰქონდა, ავადმყოფი თან-და-თან უარესად ხდებოდა: ის ერთობ გახდა, სასტიკი სისხლ-ნაკლებობა ეტყობოდა. ხშირად საღამოობით სიცხე მომატებული ჰქონდა 37,0°-ს, ხან 38°. ხველამ საგრძნობათ მოუმატა და ღამით ოფლიანობა დაუწყო. ავადმყოფს აგრეთვე ხან-და-ხან სასტიკი გულის სისუსტე ეტყობოდა, პირიდან სისხლის დენის ტენდენცია ერთობ ძლიერი ჰქონდა.

სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ავადმყოფი დადხანს ბახმაროზე ვერ წაიყვანეს. ამასთან ბევრა ექიმების აზრით არ იყო სასურველი ავადმყოფის ასეთ მაღალ აკარაკზე წასვლა, როგორც ბახმაროა, სადაც ექიმების აზრით შესაძლებელი იყო ავადმყოფს პირიდან სასტიკი სისხლის დენა გამოჩენოდა.

1922 წელს ივნისის თვეში მე კიდევ ვინახულე ავადმყოფი. ეხლა კი პროცესი ფილტვებს ორივე მწვერვალში იყო. ამასთან ავადმყოფს სასტიკი ბრაზიტი ჰქონდა და სიცხეს აძლევდა საღამოობათ 38°, ხან 39°. ავადმყოფი ერთობ გამხდარი იყო, ხველა, რასაკვირველია სასტიკი ჰქონდა. ხიხინი ბლომათ ემჩნეოდა, განსაკუთრებით მარცხნით და



ნათელი იყო, რომ აკადემიკოსს თუ კლიმატური ექიმობა უშეიარაღო
 თორემ სხვა ყოველსავე ენერგიულ ექიმობას და განსაკუთრებულ კვე-
 ბას აღარ შეეძლო რაიმე საგრძნობი გავლენა მოეხდინა ავადმყოფის
 მდგომარეობაზე. აკადემიკოსობა პირდაპირ გადადიოდა მეორე პერიოდში.

ჩემის დაუინებითი მოთხოვნით, ავადმყოფი გაგზავნილ იქნა ბახმა-
 როზე 1922 წლის სეზონში. ბახმაროზე ხშირად ვნახულობდი ავად-
 მყოფს. ამოსვლის შემდეგ პირველ დღეებში მაღალი სიცხე მისცა და
 მუცელში სასტიკი აშლილობა დაეტყო, მაგრამ სათანადო წამლო-
 ბით და ჰაერისგავლენით ავადმყოფმა მოიკეთა და შემდეგ სეზონის ბო-
 ლობდის ასეთი ავად არ გამხდარა. ბახმაროზე არც ერთხელ ავადმყოფი-
 სათვის პირიდან სისხლის დენა არ უქნია.

უკანასკნელათ ვინახულე ავადმყოფი ბახმაროდან დაბრუნების ერთი
 თვის შემდეგ და მდგომარეობა საოცრად შეცვლილიყო: წონაში მოე-
 მატნა 13 გირვანქა, ფერი კარგი ჰქონდა, ღონე და მადა ერთობ კარგი.
 სიცხეს სრულიად აღარ აძლევს. ფილტვებში ერთობ დიდი ცვლილებე-
 ბი მომხდარა, ცხადია რომ ფილტვების ორივე მწვერვალის სიკატრიზა-
 ცია უკვე მტკიცე საფუძველზე არის დამდგარი. ავადმყოფს ხიხინი სრუ-
 ლიად აღარ ემჩნევა. სიყრუე მწვერვალებთან თვალსაჩინოთ ნაკლებია.
 ყბებს ქვეშ ჯირყვლებს თვალსაჩინოთ დაუკლია. ერთი სიტყვით სრუ-
 ლიად დაავადებულს და უღმობელი სენის მსხვერპლათ გამხდარ ორგა-
 ნიზმს თითქოს ფერი უცვლია: სიკვდილის გზა სიკაცხლის გზათ შეც-
 ვლილა და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუ ავადმყოფი კიდევ
 ბახმაროს სეზონით ისარგებლებს და ჰიგიენურ ცხოვრებას გაყვება,
 კლინიკურად მორჩება და ფილტვების ორივე მწვერვალის
 სიკატრიზაცია სრულიად დამთავრდება. ისე ეხლა ავადმყოფი მორჩე-
 ნილათ გრძნობს თავს, ავადმყოფმა კიდევ ისარგებლა ერთი სეზონით და
 ეხლა კლინიკურათ მორჩენილათ უნდა ჩაითვალოს.

მ ბ ს ე რ ვ ა ტ ი ა III.

ავადმყოფი 22 წლის ყმაწვილი კაცი ს. ა. პირველათ გახდა ავად
 1917 წელში ბათუმში სამსახურის დროს და მოთავსებულ იქნა ბათო-
 მის საშხედრო გოსპიტალში. გაცივების შემდეგ იგრძნო ჭვალეები და
 ემჩნეოდა ინტერმეტული სიცხე დილით 37°, საღამოს 39°, ხან 40°.
 ხან-დღე-ხან მაღალი სიცხე დილით ჰქონდა ავადმყოფს. ორჯერ გასინ-
 ჯულ იქნა სისხლი და მაღარის პლაზმოლიები არ აღმოჩნდა. ავად-
 მყოფი ერთი თვის შემდეგ გადაყვანილ იქნა ბათუმის ქალაქთა კავ. სა-
 ავადმყოფოში. მესამე დღეს გადაყვანის შემდეგ ექიმებმა აღმოაჩინეს მარ-
 ჯვნივ წყლიანი პლევრიტი, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, ნელი ნაბიჯით
 ვითარდებოდა და, როგორც ავადმყოფობის შემდეგმა მსვლელობამ დაამ-
 ტკიცა, იყო ტუბერკულოზის ნიადაგზე. ორჯერ გამოუღეს წყალი

აღმუყაფს სულ 1000,0. დარჩენილი წყალი თავის-თავად დაშრა დაახლოებით ორი თვის განმავლობაში, მაგრამ ავადმყოფი თან-დასტრდებოდა, მიუხედავად წყლის დაშრობისა.

1917 წელს სექტემბრის თვეში ავადმყოფი მეჩვენა მე ქალაქ ოზურგეთში და მას ემჩნეოდა პროცესი ფილტვის მარჯვენა მწვერვალში და ლევრიტის ნიშნები მარჯვენით, წყალი კი აღარ ჰქონდა, საღამომობით ცხე მატულობდა, გვერდში სასტიკი ტკივილი ჰქონდა მარჯვენით. საღამომოდ დიდი სისუსტე ემჩნეოდა. ავადმყოფი დიდათ გამხდარი იყო. ავადმყოფი 1918 წლის სეზონში ჩემის რჩევით წავიდა აკარაკ ბახმაროდ. დარჩა აკარაკზე 45 დღე და დიდათ მოიკეთა: გვერდის ტკივილები აღარ ჰქონდა. ბახმაროზე წასვლამდის მარჯვენით გვერდზე თვალსაჩინო ჩაზნექილობა ეტყობოდა ფილტვის აპკის ნაწილობრივი შეზრდის დაგზე. ბახმაროზე ექიმობას შემდეგ კი მარჯვენით ჩაზნექილობა თითქმის აღარ ემჩნეოდა.

1919 წ. იანვარში გახდა ავად ინფლუენციით. ინფლუენციის შემდეგ ავადმყოფობს ხშირათ აძლედა სიცხეს. რამოდენიმე ხნის შემდეგ ავადმყოფს გამოაჩნდა პარტახტიანი ტიფი, ავადმყოფობა დაიწყო პირიდან სასტიკი სისხლის დენით. სათანადო ექიმობით განსაკუთრებული მოვლით ავადმყოფმა პარტახტიანი ტიფი გადაინა. ტიფის შემდეგ ავადმყოფი ძლიერ სუსტათ იყო და თან-და-თან რა ცუდათ ხდებოდა. ფილტვის მეორე მწვერვალში გამოაჩნდა პროცესი. ავადმყოფს სასტაკათ ახველებდა და ნახველს ბლომათ აძლედა. ღამით ოფლი ჰქონდა. ნახველის გასინჯვამ აღმოაჩინა კახის ჩხიბი. ავადმყოფი ხელმეორეთ გაემგზავრა 1919 წ. სეზონში აკარაკ მაროზე და დარჩა იქ ორი თვე. ბახმაროს ჰაერის გავლენა ერთობ დი იყო: ავადმყოფმა საოცრათ მოიკეთა.

ბახმაროდან დაბრუნებისას ავადმყოფი ისე კარგად გრძნობდა თავს, მ ტფილისში გაემგზავრა სამსახურისათვის. მაისის თვემდის კარგათ იყო, მაგრამ მაისის პირველ რიცხვებში გახდა ავად მუცლის ტიფით და მოხდა ქალაქის საავადმყოფოში. იქ დარჩა ერთი თვე, შემდეგ გადაიწვილი იქნა მთავარ საავადმყოფოში და იქ დარჩა თვე ნახევარი. შემდეგამომგზავრა ოზურგეთში ივლისის ბოლო რიცხვებში.

ბახმაროზე წასვლა უკვე გვიან იყო და ავადმყოფიც ერთობ სუსტათ იყო ამის გამო ჩემ მიერ გაგზავნილი იქნა ავადმყოფი სოფელ ვაკიჯვარ-ბახმაროდან ბარში ჩასვლისას პირველი სოფელი) ავადმყოფი თან-თან უფრო სუსტათ გრძნობდა თავს. აგრეთვე დაეტყო კუჭის და ლევების მოშლილობა, ხშირად სიცხეს აძლედა, ახველებდა, ღამით მოიხიანობა ისევ დაუწყო. ავადმყოფი ენერგიულათ ექიმობდა, მაგრამ თან-და-თან უფრო ცუდათ ხდებოდა, მდგომარეობა ერთობ სერიოზულ-შეიქნა და ვინაიდან ბახმაროს სეზონი გასული იყო, მე ვურჩიე



სოხუმი, მაგრამ ავადმყოფმა, ოჯახური მდგომარეობის გამო, ვერ შეძლო ხერხა იქ წასვლა და ბახმაროს უცდიდა. ძლიერ დაიკლო, სიცხეს თითქმის ყოველდღე აძლევდა 37,5 ხან 38°. ზაქთარში ავადმყოფი უფრო ხშირათ აწვა, ორივე ფილტვის მწვერვალებში და განსაკუთრებით მარცხნით მოვლენები გაძლიერდა. ხველამ მოუმატა და ცხადი იყო, მეორე პერიოდი იწყებოდა.

ავადმყოფმა ისარგებლა ბახმაროს 1921 წლის სეზონით. დარჩა აკარაკზე ორი თვი კარგ მატერიალურ პარობებში და ეხლა კი ბახმაროს ჰაერზე გადამჭრელი გავლენა მოახდინა ავადმყოფის ფილტვებზე. კარგი ხნიდან ფილტვების მწვერვალებში დაწყებული სიკატრიზაცია, რომელიც ერთობ შეფერხებული იყო ტიფებით, დამთავრდა. წონაში ავადმყოფმა დიდათ მოიმატა, შადა და ღონე კარგი აქვს, სიცხეს სრულიად აღარ აძლევდა, ოფლიანობაც არ ემჩნეოდა და არც ახველებდა, ავადმყოფი სრულიად მორჩენილად გრძნობდა თავს. შემდეგ ბახმაროს სეზონით აღარ უსარგებლია. სრულიად მორჩენილად გრძნობს თავს. ჩვეულებრივ ცხოვრებას ეწევა, ნახველში კოხის ჩხირები უკვე აღარ მოეპოვება. პლევრიტის ნიშნები თითქმის აღარ ემჩნევა. თავის-თავად ცხადია, რომ ავადმყოფს ტიფები არ გადაეტანა, ფილტვების მწვერვალებში სიკატრიზაცია ბევრათ უფრო ადრე მოხდებოდა ბახმაროს ჰაერის გავლენით.

მ ბ ს ე რ ვ ა ტ ი ა IV.

ავადმყოფი დაახლოვებით 40 წლის ი. გ. ლოთი. პირველათ გახდა ავად 1918 წ. ხშირათ ემართებოდა ბრონხიტი ავადმყოფს ემჩნეოდა ფილტვების ორივე მწვერვალში პროცესი, ამასთანავე ეტყობოდა ღვიძლის სერიოზული ავადმყოფობა ლოთობის წიადაგზე. ავადმყოფი ერთობ სუსტათ გრძნობდა თავს. სთანადო ექიმობის შემდეგ ის გაგზავნილი იქმნა ჩემ მიერ ბახმაროზე.

ბახმარომ თვალსაჩინო გავლენა მოახდინა ავადმყოფზე, ბრონხიტის მოვლენები უფრო შესუსტდა, მაგრამ წიადაგი ტუბერკულოზის განვითარებისათვის, როგორც ლოთის სხეული, ერთობ დიდი იყო და ამის გამო თავიდანვე ეტყობოდა ტუბერკულოზს პროგრესიული მსვლელობა. ავადმყოფს ყველა შვილები ქლექით მოუკვდა, მისი ცოლიც შეპყრობილია ქრონიკული ტუბერკულოზით.

ავადმყოფი ხელმეორეთ წავიდა ბახმაროზე 1919 წ. სეზონში. ბახმაროს ჰაერზე უფრო ძლიერი გავლენა მოახდინა: ხველა დიდათ ნაკლები ჰქონდა, სიცხემაც დაიკლო. მაგრამ ცხადი იყო, რომ ფილტვების სიკატრიზაცია ერთობ შეფერხებული იყო შემოაღნიშნული მიზეზების გამო. ავადმყოფი ხან მოიკეთებდა, ხან ცუდათ გრძნობდა თავს, ავად-

ყოფი მესამეჯერ გაემგზავრა აგარაკ ბახმაროზე 1920 წ. სეზონში
ლამ კიდევ უკლო, სიცხემაც დაიკლო.


ღვიძლის ტკივილები აღარ ჰქონდა. ავადმყოფი ჩამოვიდა ბარში,
ცოტა მუშაობას მიჰყო ხელი, მაგრამ ისევ სისუსტე იგრძნო და ხველამ
და სიცხემაც მოუმატა.

1921 წ. გაისინჯა ავადმყოფის ნახველი, აღმოჩნდა კოხის ჩხირე-
ბის ერთობ დიდი რაოდენობა. ფილტვებში მოვლენები გაძლიერდა და
ავადმყოფი უკვე განვითარებულ მეორე პერიოდში იყო. 1921 წ. სე-
ზონში ავადმყოფი ისევ გაემგზავრა ბახმაროზე და დარჩა ერთი თვე.
ავადმყოფმა მოიკეთა, ოფლიანობა დაეთხოვა, სიცხემ და ხველამ უკლო,
მაგრამ ბარში ჩამოსვლის შემდეგ ხშირად მდგომარეობა უარესდებოდა.

ავადმყოფი კიდევ გაემგზავრა ბახმაროზე 1922 წ. სეზონში და
ცხლამ კი უფრო საგრძნობლათ მოიკეთა, ხველა ნაკლები აქვს, სიცხე
ხშირად ნორმალური აქვს, მადა და ღონე უკეთესი აქვს. ფილტ-
ვების ზემო ნაწილებთან ემჩნევა დიდი სიყრუე, მარცხენა ფილ-
ტვში ხშირათ ემჩნევა სველი ხიხინი, ნახველში კოხის ჩხი-
რები საკმარისად მოეპოება. როგორც სჩანს, ავადმყოფი კლინიკურად
სრულიად არ არის მორჩენილი, მაგრამ შესაძლებელია ვითუქროთ, რომ
თუ ავადმყოფი სისტემატიურად ბახმაროზე ივლის, რამოდენიმე წელს
იცოცხლებს. თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნულ ავადმყოფს ბახმაროს
ცხოველ-მყოფელი ჰაერის გავლენა არ ჰქონოდა, დიდი ხნიდან თავისი
უღმობელი სენის მახვერბლი შეიქნებოდა.

ეს ობსერვაცია მიგვაჩნია ჩვენ საინტერესოთ იმ მხრით, რომ რო-
დესაც ავადმყოფის ორგანიზმი სრულიად დაავადებული არის სხვა მი-
ზეზებით, როგორც მაგ. ამ შემთხვევაში სასტიკი **ლოთობით** და ღვიძ-
ლის ფრიად სერიოზული ავადმყოფობით და, როდესაც ამის გამო
სხეული ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევს ტუბერკულოზს, ფილ-
ტვების მწვერვალების სიკატრიზაცია თუმცა იწყება, მაგრამ სიკატრიზა-
ციას დამთავრება შეუძლებელი ხდება. ბახმაროს ჰაერის გავლენით
მხოლოდ-და-მხოლოდ პროცესი დროებით ჩერდება და ტუბერკულოზი
ღებულობს ე. წ. **სტაციონარულ ფორმას (forme stationnaire de
Bard.)**

ფილტვების ტუბერკულოზის შემდეგ ბახმაროს ჰაერს დიადი გავ-
ლენა აქვს **ფლტვის აპკი (Pleuritis)** და **მუცლის აპკის (Peritonitis)**
ტუბერკულოზზე. ვგრძნობდნენ მოდებული მშრალი პლევრიტები ტუბერკულო-
ზის ნიდაგზე საოცარი სისწრაფით რჩება ბახმაროს ჰაერის გავლენით და
ანატომიურათ ერთობ სუსტ ნაშთებს სტოვებს. ასეთი შემთხვევები ისეთი.
ხშირია და ბანალური, რომ ჩვენ ზედმეტათ მიგვაჩნია მესამე ობსერვა-
ციის შემდეგ კიდევ განსაკუთრებული ობსერვაციის აღნუსხვა, მაგრამ,
ვინაიდან ბახმაროს ჰაერის გავლენა ერთობ იშვიათია მუცლის აპკის ტუ-



მ ბ ს მ რ ვ ა ტ ი ა V.

ავადმყოფი ახალგაზრდა ქალი 18 წლის ა. ლ. 1920 წ. ოქტომბრის თვეში ავადმყოფს ემჩნეოდა გაცივების შემდეგ სასტიკი მუცლის ტკივილები და მაღალი სიცხე: დილით 38° , საღამოს 40° . პირველ ხანებში ჰქონდა ღებინება, მუცელში შეკრულობა და გულის მოშლილობა. ხან და-ხან მუცელი ერთობ გამაგრდებოდა და ავადმყოფი გრძნობდა სასტიკ ტკივილებს. ავადმყოფს სრულიად არ ჰქონდა მაღა და იძულებული იყო სასტიკი დიეტა დაეცვა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ავადმყოფი დიდ ტკივილებს გრძნობდა მუცელში და მუცელი ერთობ წამოებერებოდა.

ავადმყოფი შემოვიდა ოზურგეთის სამაზრო საავადმყოფოში 1921 წ. იანვარში და დარჩა 36 დღე. ავადმყოფის მდგომარეობა თან და-თან უფრო ცუდი ხდებოდა, მიუხედავად ენერგიული ექიმობისა. სიცხემ მიიღო ცვალებითი ხასიათი: დილით $36^{\circ},5$ ან 37° , საღამოს 39° , ხან 40° . რამდენჯერმე დანიშნული იქმნა ექიმების კონსილიუმი. ავადმყოფის ობიექტიური მდგომარეობა ასეთი იყო: მუცელზე ხელის დაჭერის დროს ავადმყოფი ყველგან გრძნობდა სასტიკ ტკივილებს. ხან და-ხან მუცელი საოცრად გამაგრდებოდა და ტკივილებს ხშირად ეტყობოდა ჰერკსიზმი. მუცელი თვალსაჩინოდ წამოებრილი ჰქონდა, წყლის ნიშნები არ ჰქონდა. მუცლის სასტიკი შეკრულობა ემჩნეოდა, ხშირად გულის რევა და ხან-და-ხან ღებინება ჰქონდა. ფილტვებში განსაკუთრებული აქტიური პროცესი არავითარი არ ეტყობოდა, გულის საოცარი მოშლილობა ჰქონდა და მაჯა ერთობ ჩქარებული. მარჯვენა ყბის ქვეშ ემჩნეოდა გდიდებული ჯირყვლები. ელენთა ნორმალური იყო. მრავალჯერ გასინჯულ იქნა სისხლი, მაგრამ პლაზმოდიები არ აღმოჩნდა. მრავალჯერ ნახელის გასინჯვამ არ აღმოაჩინა კობის ჩხირები. დასმულ იქმნა დიაგნოზი: **მუცლის აპკის ანთება ტუბერკულოზის ნიადაგზე (peritonitis tuberculosa)** ზოგიერთი ექიმების აზრი იყო, რომ ავადმყოფობა მიიღებდა **მიწრაფმაგალ** ქლექის ხასიათს (granulie).

ავადმყოფი გამოიწერა საავადმყოფოდან და შემდეგ ისევ დაბრუნდა საავადმყოფოში აპრილში და დარჩა 15 დღე. მდგომარეობა თან და-თან უფრო ცუდი ხდებოდა. ჩემის დაქინებითი მოთხოვნით ავადმყოფმა იენისის თვე გაატარა სოფელ ვაკიჯვარში და ივლისის დასაწყისში ავადმყოფი ავიდა ბახმაროზე და ყოველსავე წამლობას თავი დაანება. სარგებლობდა მხოლოდ ჰაერით და დარჩა 15 აგვისტომდე. ავადმყოფის მდგომარეობა საოცრათ შეიცვალა: წონაში მოიმატა 17 გირვ. ტკივილები მუცელში სრულიად აღარ ჰქონდა და მუცელიც დარბილდა, სი-



ახე სრულიად ნორმალური ჰქონდა, ღონე და მადა დიდათ მოემატა. ერთი სიტყვით ავადმყოფში სრული მეტამორფოზა მოხდა და ავადმყოფი რეალური იმედით, რომ სამუდამოთ მორჩია, გაემგზავრა თავის სოფელში და ჩვეულებრივ მუშაობას და ცხოვრებას მიჰყო ხელი და შემდეგ არც უებრუნებია.

1922 წ. სეზონში ყოფილი ავადმყოფი კიდევ იყო ამოსული ზახაროზე, სადაც მე ვინახულე Status praesens: სიმსუქნე სრულიად აკმარისი, ფერო ძლიერ კარგი, მუცლის ტკივილები და სიმაგრე სრულიად არ ემჩნევა, საჭმელს სრულიად არ ერიდება და ყველა საჭმელს არგათ ინელებს. მარჯვენა ყლის ქვეშ ემჩნევა კიდევ გადიდებული ჯირვლები, თუმცა დიდათ დაკლებული. უნდა აღინიშნოს, რომ ავადმყოფის დედა მოკვდა ნაწლევების ტუბერკულოზით. ყოფილი ავადმყოფი სრულიად მორჩენილათ გრძნობს თავს და ჩვეულებრივ ცხოვრებას ეწევა და ამისათვის სათანადო ძალღონეც შესწევს. ის ექიმი, რომელსაც ეს ავადმყოფობის დროს უნახავს და ეხლა ნახავს, თავის თვალებს ვერ დაუჯერებს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ზახარო საერთოდ ტუბერკულოზის სასტიკი მტერია და მართლაც კლინიკური დაკვირვებები ამას სავსებით ამართლებენ. ერთობ გასაკვირია ზახაროს ჰაერის შესამჩნევი გავლენა ქირურგიულ ტუბერკულოზზეც კი.

ო ბ ს მ რ ვ ა ტ ი ა VI.

ავადმყოფი, დაახლოვებით 32 წლის ა. გ. 1921 წ. თებერვლის თვეში გამოაჩნდა მარჯვენა სასქესო ჯირყვალის სიმსივნე, რომელიც ავადმყოფს ცოტათი უწინაც ემჩნეოდ, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. უკანასკნელ ხანებში ავადმყოფს საოცრათ მოუმატა ტკივილებმა და იმან, სხვათა შორის, მიძულა ყურადღება მიექცია თავის ავადმყოფობისათვის.

იმავე წლის მარტის რაცხვებში ავადმყოფი შემოვიდა ოზურგეთის სამაზრო საავადმყოფოში და მას უმთავრესად ექიმობდა ქირურგი. მე მისი ნახვა მიხდებოდა სხვათა შორის. Status praesens: საერთო კვება ცუდი, ერთობ ფერ-მიხდელი. დილით სიცხე 37°, საღამოობით 38°, ხან 39° აღწევდა. მისით ზოდრაობა ავადმყოფს სრულიად არ შეუძლია: ყოველთვის საჭიროებს მომვლელს. ცტყობა მარჯვენა სასქესო ჯირყვალის დიდი სიმსივნე; ქირურგმა მარჯვენა სასქესო ჯირყვალს საინჯი ნემსი გაუკეთა და აღმოაჩნდა ჩირქი, რომელმაც, გაჭრის შემდეგ, ბლომათ დაიწყო დენა. სასქესო ჯირყვალის ზემო ნაწილში ავადმყოფს აღმოაჩნდა წყალი. ჩირქის ლაბორატორიაში გასინჯვამ კობის ჩხირები არ აღმოაჩინა, მაგრამ არც სხვა მიკრობები.

ქირურგის ჩიერ დასმულ იქნა დიაგნოზი: მარჯვენა სასქესო
ღლის ტუბერკულოზი.



ავადმყოფი დიდხანს დარჩა საავადმყოფოში (სამი თვე) და ყოველ
დღიურათ ქრილობას უხვევდენ, მაგრამ ჩირქი მაინც საკმარისად მო-
დიოდა და ავადმყოფის მდგომარეობა უფრო და უფრო ცუდი ხდებო-
და: ავადმყოფი საიციკაო გახდა, მუცელში სასტიკი ტკივილები დაუწყო,
როგორც გამოიკვია Colitis ნიადაგზე. ქრილობის აღაგას ტკივილები
კიდევ ჰქონდა, პროსტატა ერთობ გადიდებული ჰქონდა და დეფეკაცია
ავადმყოფს საშინლათ სტანჯავდა. ერთი სიტყვით ავადმყოფის მდგომარე-
ობა სულ უკან-და-უკან მიდიოდა, მიუხედავად მრავალ-გვარი ენერ-
გიული ექიმობისა. უკანასკნელ ხანებში ხან-და-ხან ნახველში სისბლიც
ერა. ავადმყოფს სიცხე უკანასკნელათ მუდმივათ ჰქონდა დაახლოვებით
38°. ქირურგმა ურჩია მარჯვენა სასქესო ჯირყვალის კასტაცია. მხო-
ლოდ ავადმყოფი იმდენათ დასუსტებული იყო, რომ ოპერაციის გაკე-
თებაზე ქირურგმა ბოლოს უარი სთქვა.

ექიმების რჩევით ავადმყოფი პირდაპირ საავადმყოფოდან გაემგზავ-
რა ბახმაროზე, ვინაიდან ავადმყოფს ცოტა მოძრაობა მოემატა და რო-
გორც იყო, მოახერხა ბახმაროზე ასვლა. იქ დაჰყო მთელი 1921 წ.
სეზონი კარგ მატერიალურ პირობებში.

ბახმაროდან რომ ჩამოვიდა და საავადმყოფოში მოვიდა, ექიმები
ჩვენს თვალებს არ ვუჯერებდით: ავადმყოფი სრულიად გამოცვლილი იყო,
წონაში ერთობ დადათ მოემატნა, თერი მშვენიერი ჰქონდა. როდესაც
გამოაკითხე, როგორი იყო ქრილობის მდგომარეობა, მან გადმოძლა,
რომ ქრილობა სრულიად მოჩა და აღარ მაწუხებსო. ჩემის რჩევით ის
კიდევ გაემგზავრა ტფილისში და ეჩვენა პროფესორ მუხაძეს, რომელ-
მაც მას უთხრა, რომ ოპერაცია საჭირო აღარ არის, ისე დიადი ყო-
ფილა პაერის გავლენაო.

1922 წ. სეზონში ყოფილი ავადმყოფი ბახმაროზე იყო ამოსული
უკვე ახალ დაოჯახებულია თავს სრულიად მოჩენილად გრძნობს და
ჩვეულებრივ ცხოვრებას ეწევა.

მ ბ ს მ რ ვ ა ც ი ა VII.

ახალგაზრდა კაცი 25 წლის გ. ვ. ავადმყოფობს 1923 წლ. პირ-
ველათ წელში იგრძნო ტკივილები, რომელიც თან-და-თან მატულობ-
და. ავადმყოფს პირველათ დაეტყო გადაზნექილობა მარჯვნივ
(Scoliose) შემდეგ გადაიზნიქა უკან და ლოგინათ ჩავარდა. არ შეეძ-
ლო არავითარი მოძრაობა, ტკივილები სისტემატიურათ მატულობდა,
განსაკუთრებით წინ გადაწევის დროს. წელის მალეებზე ხელის დაჭე-
რის დროს ავადმყოფი გრძნობდა უსასტიკეს ტკივილებს.

ავადმყოფი გაემგზავრა პროფ. ჩუხაძესთან, რომელმაც მას
საავადმყოფოში ექიმობა და მეოხნი ოპერაციაც.

ავადმყოფი საავადმყოფოში ექიმობაზე არ დასთანხმდა და საოცარ-
რი განსაცდელით 1923 წ. სეზონში აიყვანეს ბახმაროზე. ერთ კვი-
რას იწვა და შემდეგ თან-და-თანობით წელში ღონე მოემატა და ცოტ-
ცოტა სიარული დაიწყო. 15 დღის ჰაერით ექიმობის შემდეგ, 14 აგვის-
ტოს ავადმყოფი გამოცხადდა ბახმაროს საკურორტო ამბულატორიაში
სადაც ვინახულეთ შინაგან სნეულებათა კლინიკის ასისტენტი **ნ.
მანვილაძემ** და მე.

ავადმყოფი თავს გრძნობდა კარგად. ფერი უკეთესი აქვს, წონაში
საგრძნობლათ მოუმატნია, წელის ხერხემალს ეტყობა ჩაზნექილობა,
ავადმყოფი დიდათ გადაწეულია უკან. ეტყობა **ხერხემლის მალეების
დეფორმაცია და ჩაზნექილობა.**

ოქტომბერში ავადმყოფი ისევ მეჩვენა მე ქალაქ ოზურგეთში. წე-
ლის მალეების მდგომარეობა საოცრათ გაუმჯობესებულიყო ბახმაროზე
ექიმობის შემდეგ: ხელის დაწოლით თითქმის ტკივილებს აღარ გრძნობდა
და ავადმყოფს მისი პირველი ავადმყოფობა Mal de Pott თითქმის აღარ
აწუხებდა, მაგრამ ეხლა ავადმყოფს ემჩივოდა მარცხენა ფილტვის მწვერვალში
პროცესი ტ **ხიხინა**. ნხველის გასინჯვამ აღმოაჩინა კოხის ჩხირების მცირედი
რაოდენობა. ავადმყოფს ახველებდა და ღამით ოფლიანობა ჰქონდა,
საღამოობით სიცხე 38°, ხან 39°. ავადმყოფმა ვნერგიულათ იექიმა,
უსახსრობის გამო სოხუმში ვერ წავიდა.

1924 წელს მარტში ისევ მეჩვენა მე. საერთომდგომარეობა დიდათ
გაუმჯობესებულია: ავადმყოფს წონაში მოუმატნია, მარცხენა ფილტვის
მწვერვალში მდგომარეობა გაუმჯობესებულია, ხიხინი აღარ ემჩნევა, მხო-
ლოდ ემჩნევა ფრიად მკვრივი სუნთქვა. ღამით ოფლს აღარ აძლევს და
სიცხეც საღამოობით ნორმალური აქვს, ძვლების (წელის ხერხემლის მა-
ლები) მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესებულია, თითების დაქერით
ტკივილებს აღარ გრძნობს. მალეების დეფორმაციაც ნაკლებია და ჩაზნე-
ქილობა წელშიც ნაკლები ემჩნევა, ეტყობა დიდი ტენდენცია წელის
მალეების თან-და-თანობით უფრო გასწორებისა. ავადმყოფი საერთოდ
კარგად გრძნობს თავს.

უკანასკნელათ ავადმყოფი ოზურგეთში შემთხვევით ინახულა პროფ
ალადაშვილმა, რომელმაც დაადასტურა ავადმყოფის კლინიკურათ მორ-
ჩენა ბახმაროს ჰაერის გავლენით და დაუმატა, რომ, თუ ავადმყოფი
ბახმაროს სეზონით კიდევ ისარგებლებს და განსაკუთრებით მზის აბა-
ნოებს მიიღებს, სავსებით განიკურნებაო.

ეს ობსერვაცია ჩვენ მიგვაჩინა ფრიად საინტერესოდ, აღსანიშნავია,
რომ ავადმყოფის ორგანიზმი აღმოჩნდა, როგორც ფრანგები იტყვიან,



„*eminement tuberculisable*“, მაგრამ წელის ხერხემლის მალაქების ტუბერკულოზი მაინც მოჩივება ბახმაროს ჰაერის გავლენით. თავისთავად ცხადია, რომ საჭიროა კიდევ შემდეგი დაკვირვებები, რომ გადაჭრით აღინიშნოს ბახმაროს ჰაერის გავლენა ძვლის ტუბერკულოზზე.

როგორც სჩანს, მზის აბანოებს ბახმაროზე, რომელსაც ჩვენ ზემოთ ვაკვრით შევხებით, დიდი გავლენა აქვთ ფილტვების, ფილტვის აპკი, ჯირსვლები და ძვლის ტუბერკულოზზეც და აგრეთვე იშვიათი გავლენა აქვთ საერთოდ ნევროზებზე და უმთავრესად ნევრასტენიით ავადმყოფებზე. ამის გამო ჩვენ გვსურს ცოტათი შევჩერდეთ ბახმაროზე მზის აბანოების მნიშვნელობის შესახებ.

თავისთავად ცხადია, რომ მზის აბანოს მიღება ბარშიც შეიძლება, განსაკუთრებით ზღვის ნაპირას, მაგრამ მაღალ კურორტებზე და, რასაკვირველია, ბახმაროზეც, უნდა ვიფიქროთ, მზის აბანოებს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ზოგიერთ ავადმყოფთათვის.

დიდი ხანია, რაც ფილტვების პათოლოგიაში მიაქციეს დიდი ყურადღება ე. წ. იის ფერი ან სოსანი მზის სხივებს, უმთავრესად ფილტვების ტუბერკულოზის ექიმობის დროს. უკანასკნელათ საექიმო ლიტერატურაში, განსაკუთრებით გერმანულში, ხშირათ არის ლაპარაკი სხვადასხვა ავადმყოფობის მზის სხივებით ექიმობაზე უმთავრესად კი მზის სხივებს ეძლევა უდიდესი მნიშვნელობა საერთოდ ტუბერკულოზის ექიმობის დროს, სადაც არ უნდა იყოს გაჩენილი ეს სენი.

ეს გასაკვირიც არ არის, თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ ქირურგები ხშირად მიმართავენ მუცლის აპკის ტუბერკულოზის დროს (*peritonitis tuberculosa*) ოპერაციას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ლაპარაკობის საშვალებით მზის სხივებს მრავლათ უშვებენ მუცლის ღრუში და რამოდენიმე ხანს ავადმყოფი (დაახლოვებით 1 წუთი) ასეთ მდგომარეობაში რჩება, შემდეგ ავადმყოფის მუცელს გაჰკერავენ და ოპერაციაც დამთავრებულია. ასეთი ოპერაციის შემდეგ ხშირად რჩება ავადმყოფი. აქედან ცხადია, თუ რა ძლიერი გავლენა ჰქონია მზის სხივებს ტუბერკულოზზე. თავის თავად ცხადია, რომ ფილტვების და ფილტვის აპკისათვის პლევრა) ასეთი ოპერაცია შეუძლებელია, მაგრამ მზის სხივები მაინც ახდენენ დიად გავლენას აღნიშნული ორგანოების ტუბერკულოზზე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბახმაროს, როგორც მაღალი მთის ჰაერში მრავლათ უნდა იყოს ე. წ. იის-ფერი, ანუ სოსანი სხივები და აგრეთვე ე. წ. პირდაპირი სხივები, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ბახმაროს მზის სხივებს ერთობ იშვიათი გავლენა ექნება ტუბერკულოზზე და ნევროზებზე და შეიძლება ბევრ სხვა ავადმყოფობაზე, მაგრამ სხვა ავადმყოფობის შესახებ, სამწუხაროდ, ჩვენ პირადი დაკვირვებები არა გვაქვს.

ჩვენის დაკვირვებების თანახმად, ზემოაღნიშნული თეორიული ცნობები საფუძვლიანად მართლდება ბახმაროზე.



სამეცნიერო ექსპედიციამ 1922 წ. სეზონში პროფ. ალადაშვილის და გოგიტიძის მეთაურობით მოაწყო ბახმაროზე მზის აბანოს მისაღებათ სათანადო შენობა. წარმოუდგენილია ის ენციკლოპედია, რომელიც ეწინვოდა ავადმყოფებს მზის აბანოს მიღების დროს.

იშვიათ სურათს წარმოადგენენ ავადმყოფები, რომლებიც მრავლად წვანან თავიანთ ლოგინებზე და ექიმის ხელმძღვანელობით მზის აბანოს დე ულობენ. ძალაუნებურათ გრძნობს ადამიანი ბახმაროს მზის ძლიერ მოხილ გავლენას და ნათლათ კითხულობ ავადმყოფების სახეებზე იმ დიად ამედებს, რომელსაც ისინი ამყარებენ მზის სხივებით ექიმობაზე და მართლაც ხშირად არ უმტყუნდებთ მათ იმედი.

განსაკუთრებით მზის აბანოები მძლავრ გავლენას ახდენენ ფილტვის ტუბერკულოზით ავადმყოფზე. აგრეთვე **მშრალი პლევრიტი** (pleuritis sicca) ტუბერკულოზის ნიადაგზე ჩქარის ტემპით რჩება. იშვიათ გავლენას ახდენს მზის აბანოები მუცლის აპკის ტუბერკულოზზე. უნდა ვიფიქროთ, რომ მზის აბანოს ძლიერი გავლენა აქვს ძვლის ტუბერკულოზზე, როგორც ზემოთ აღნიშნეთ ხერხემლის მალეების ტუბერკულოზის ექიმობის გამო.

სამწუხაროდ სხივებით ექიმობის საკითხი ბახმაროზე ჯერ-ჯერობით საფუძვლიანად გამორკვეული არ არის, მაგრამ თუ მართალია ის დებულება, რომ მზის სხივებით ექიმობას უდიდესი მომავალი აქვს, როგორც ბუნებრივ სამკურნალო საშუალებას, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ამ დებულების ერთი ბრწყინვალე დემონსტრაცია მომავალში ავარაკი ბახმარო დარჩება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბახმაროს ჰაერს შესაჩინევი გავლენა აქვს სხვა-და-სხვა ავადმყოფობაზე, როდესაც ჩვეულებრივთ სხვა კურორტების გავლენა მკაფიოდ გამოიხატება მხოლოდ ერთ რომელსამე ავადმყოფობაზე, ბახმაროს ჰაერს უდიდესი გავლენა აქვს ქრონიკულ მალარიაზე და **ცუდი თვისების მალარიაზე** (malaria pernitiiosa), აგრეთვე **ტროპიკულ მალარიის ფორმაზე** რანდენ გოგოულს, იმედ დაკარგულს მალარიის გამო, მიუღია განკურნება ბახმაროს ცხოველმყოფელ ჰაერის გავლენით! ასეთი შემთხვევები იმდენათ ხშირია და ბანალური, რომ ჩვენ თითქმის ზედმეტათ მიგვაჩნია ობსერვაციების აღწერა. აღნიშნავთ მხოლოდ ორიოდეს.

ო ბ ს მ რ ვ ა ც ი ა VIII.

ავადმყოფი დაახლოვებით 40 წლის ი. შ. არის დიდი ხანა შეპყრობილი ცუდი თვისების მალარიით და გულის სასტიკი მოშლილობა



ბით. პულსი 150, ელენთა ერთობ დიდი აქვს, ღვიძლი დიდათ ტეზულია და თითების დაჭერის დროს ავადმყოფი გრძნობს ტკივილს. კუჭი ავადმყოფს ერთობ აღიზიანებული აქვს და ხშირად სტკივა, იძულებულია დიეტა დაიცვას. ავადმყოფი ერთობ გამხდარი და ფერმიხდილია, ეტყობა სასტიკი სისხლნაკლებობის ნიშნები. ავადმყოფს საოცრად ეხუთება სული.

25 დღის ექიმობის შემდეგ აგარაკ ბახმაროზე ავადმყოფი ისევ მეჩვენა. უნდა აღინიშნოს, რომ ავადმყოფი ბარში ექიმობდა დიდი ხნის განმავლობაში. ექიმობა იყო ფრიალ ენერგიული, მაგრამ სახლში ყოფნის დროს ავადმყოფის მდგომარეობა თან-და-თან უფრო ცუდი ხდებოდა და ამის გამო იძულებული შეიქნა წასულიყო აგარაკ ბ. ხმაროზე.

ახლა კი, 25 დღის ბახმაროზე ექიმობის შემდეგ, ავადმყოფში სრული მეტამორფოზა მომხდარა, წონაში დიდათ მოუმატნია, ფერი კარგი აქვს, გულის მდგომარეობა საოცრათ გაუმჯობესებულა, ღონე და მალა ერთობ კარგი აქვს, კუჭის მდგომარეობა ნორმალურია, ღვიძლის და ელენთას სიდიდეს დიდათ დაუკლია, თითების დაჭერით სრულიად აღარ გრძნობს ღვიძლის ტკივილებს. სიცხე უკვე 15 დღეა ნორმალური აქვს. ავადმყოფი სრულიად მორჩენილად გრძნობს თავს.

მ ე ს ე რ ვ ა ც ი ა IX.

ავადმყოფი დაახლოვებით 45 წლის გ. ბ. 1922 წ. მაისის 1-ლ რიცხვებში გახდა სერიოზულათ ავად. ემჩნეოდა სიცხე, რომელმაც თავიდანვე მიიღო ინტერმეტული ხასიათი: დილით 37°, საღამოს 39°. რაიმე განსაკუთრებული ტკივილები ავადმყოფს არ ჰქონია. ელენთა დიდათ გადიდებული ჰქონდა და ღვიძლიც მომატებული, მუცელში პირველ დღეებში სასტიკი მოშლილობა დაეტყო. 10 დღის ავადმყოფობის შემდეგ ავადმყოფს გამოაჩნდ სასტიკი საერთო სიყვითლე (Icterus) და ღვიძლის ტკივილები ავადმყოფს ემჩნეოდა ერთობ სერიოზული გულის მოშლილობა, ღამ-ღამობით სასტიკი ოფლიანობა ჰქონდა, ავადმყოფს ცოტა ხნს შემდეგ დაეტყო მუცელში შეკრულობა, სისხლის გასინჯვამ დმოაჩინა პლ ზმ დებო.

ავადმყოფი თან და თან უფრო სუსტდებოდა, სიცხე ერთობ მალაღი ჰქონდა, ხშირად 40°, ხან 41°, დილით კი 36,5° ან 37,5° იყო. დასმულ იქნა დიაგნოზი ცუდი თვისების მალარიის (malaria perniciosa). ღვიძლის სერიოზული ავადმყოფობის გართულებით (Hepatitis.) მუხ დავათ ენერგიული ექიმობისა ავადმყოფმა მაისის და ივნისის თვე ბში საგრძნობლად ვერ მოიკეთა: ორ-სამ დღეს დაუკლებდა სიცხეს და შემდეგ სევ ერთობ მალაღი სიცხე ჰქონდა. უკანასკნელათ ავადმყოფის გული სიცხეს სრულიად ვერ იტანდა და საოცარი სულის



ხუთვა ემჩნეოდა, ავადმყოფი ერთობ გახდა, მადა სრულიად არ ჰქონდა
 ღვიძლი და ელენთა კიდევ დიდი იყო. ცხადი იყო, რომ მრავალ-გვარ
 ენერგიულ ექიმობას და განსაკუთრებულ მოვლას აღარ შეეძლო რაიმე
 ჯვალსაჩინო გავლენა მოეხდინა ავადმყოფზე, რომელიც ჩქარის ნაბი-
 ჯით მიიწევდა მალარიის კახექსიისაკენ.

ვინაიდან ნათელი იყო, რომ ავადმყოფზე შეიძლებოდა მხოლოდ
 კლიმატიურ ექიმობას მოეხდინა გავლენა, ჩემ მიერ გაგზავნილ იქნა
 აღნიშნული ავადმყოფი აგარაკ ბახმაროზე 1922 წ. სეზონში და ყო-
 ველივე ექიმობა შეწყვეტილ იქმნა, გარდა გულის გასამაგრებელ ექი-
 მობისა. ავადმყოფმა დაჰყო ბახმაროზე მთელი სეზონი კარგ მატერია-
 ლურ პირობებში და ბახმაროდან დაბრუნების ერთი თვის შემდეგ მე-
 ჩვენა მე ქალაქ ოზურგეთში.

ავადმყოფის მდგომარეობა ერთობ შეცვლილიყო: წონაში მოემატნა
 17 გირ. ღონე და მადა ძლიერ კარგი ჰქონდა, სიყვითლის ნიშნები
 სრულიად აღარ ემჩნეოდა, ღვიძლი ნორმალური იყო და არც არავა-
 თარი ტკვილები ჰქონდა, ელენთა ნორმალური, სიცხე უკვე ორი თვეა
 ნორმალური აქვს, გულის მდგომარეობა საოცრათ გაუმჯობესებულა,
 მუცელში არავითარ ტკვილებს აღარ გრძნობს და ყველა საჭმელს
 კარგათ ინელებს. თავს სრულიად მორჩენილათ გრძნობს და ჩვეულებ-
 რივ ცხოვრებას ეწევა.

უნდა ვითქვოდით, რომ აღნიშნული ავადმყოფი ბახმაროზე არ წა-
 სულიყო, აუცილებლათ მალარიის კახექსიის მსხვერპლი შეიქნებოდა.

მ ბ ს მ რ ვ ა ტ ი ა X.

ავადმყოფი 30 წლის ქმრიანი ქალი მ. თ. 19'8 წელს აგვისტოს
 თვეში გახდა ავად ბორჯომში. ექიმებმა მის ავადმყოფობას ინფლუენ-
 ცია უწოდეს. ბორჯომში ავადმყოფი დარჩა 20 დღე, შემდეგ წამოვიდა
 ოზურგეთში და გამოაჩნდა სასტიკი ფორმის მალარია, სიცხე ხშირად
 აღწევდა 41°, და ხან უფრო მაღალიც იყო, ავადმყოფს დილით სიცხე
 უკლებდა 36°, მაგრამ ასეთი დაბალი სიცხე ცოტა ხანს ჰქონდა და
 ისევ აიწევდა და მკორე დილაშდის ავადმყოფი სულ სიცხეში იყო, და-
 მით სასტიკი ოფლის დენა ჰქონდა და სრულიად არ ეძინა. წამლობა
 ჰქონდა ერთობ ენერგიული სხვა-და სხვა ექიმების. მიუხედავათ ამისა
 ავადმყოფი უფრო და უფრო ცუდათ ხდებოდა და ჩავარდა ლოგინათ,
 ათი თვის განმავლობაში.

მე ვინახულე ავადმყოფი 1919 წ მაისში. ავადმყოფი ერთობ გამ-
 ხდარი იყო და ფერ-მიხდილი, სასტიკი სისხლ ნაკლებობის ნიშნები
 ეტყობოდა, მადა სრულიად არ ჰქონდა სიცხე ხშირად 41° აღწევდა.
 მასთან გულის და ნერვების მოშლილობა ეტყობოდა, თითქმის განუ-



წყვეტილ იქნა ამ თვის განმავლობაში ქინაქინას, ქაფურს და უშხაპუნებდენ კან-ქვეშ. ავადმყოფს სრულიად არ შეეძლო ლოგინიდან წამოდგომა, ფილტვებში განსაკუთრებული არაფერი ჰქონდა, ელენთა ერთობ გადიდებული ჰქონდა და ღვიძლიც რასაკვირველია. დასმული ქმნა და აგნოზი ფრიად ცუდი თვისების მალარიის. ავადმყოფი საოცარი სისწრაფით მიიწევდა მალარიის კახექსიისაკენ.

ავადმყოფმა ენერგიული ექიმობის შემდეგ გამოიკვალა ჰაერი და ჩემის რჩევით გაემგზავრა ტფილისში. ჰაერის გამოკვლამ ცოტა გავლენა მოახდინა. შემდეგ ავადმყოფი წაიყვანეს აგარაკ ბახმაროზე 1919 წ. სეზონში.

პირველმა სეზონმა ვერ მოახდინა გადამჭრელი გავლენა, თუმცა ავადმყოფმა დიდათ მოიკეთა. მეორე სეზონში კი ავადმყოფი კლინიკურად სრულიად მოიხა, წონაში დიდათ მოიმატა, ღონე და მალა კარგი მოუვიდა, გულის სისუსტეს სრულიად აღარ გრძნობდა და შემდეგ ყოველ წლოვით დადის ბახმაროზე და თან-და-თან უფრო კარგად არის და ჩვეულებრივ ცხოვრებას ეწევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ექიმის აზრით ავადმყოფის მდგომარეობა სრულიად უნუგეშოთ იქნა ცნობილი და, თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნულ ავადმყოფს ბახმაროს ჰაერით არ ესარგებლებია, ყოველ მიზეზს გარეშე მალარიის კახექსიის მსხვერპლი შეიქნებოდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბახმარო არა ნაკლები მტერია მალარიის, ვინემ ტუბერკულოზის. ათიოდე წლის განმავლობაში იშვიათად გვინახავს მალარიით შეპყრობილი ავადმყოფი, რომელიც ბახმაროს ჰაერით სისტემატიურათ სარგებლობდა და გის არ მოჩინილიყოს, და ან უკანასკნელ შემთხვევაში მალარია, როგორც ავადმყოფობა, საოცრად არ შესუსტებულიყოს ბახმაროს ჰაერის გავლენით, თუ, რასაკვირველია, ავადმყოფი სრულიად კახექტიურ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა.

რაც შეეხება მალარიის ტროპიკულ ფორმას, ისიც გამონაკლისს არ შეადგენს. თავისთავად ცხადია, რომ ტროპიკული ფორმა იძლევა ბახმაროზე ხანგრძლივ პაროქსიზმებს ერთობ მაღალი სიცხით და ძლიერი საერთო მოვლენებით (როგორც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, ბახმაროს ჰაერს აქვს უდიდესი თვისება ავადმყოფობის გამოჩენის), მაგრამ ჰაერის გავლენით და სათანადო ექიმობით (ბახმაროზე ქინაქინის კანქვეშ შეშხაპუნებას განსაკუთრებული ძლიერი გავლენა აქვს მალარიით ავადმყოფებზე, იმავე ავადმყოფებზე, რომელზედაც ბარში ასეთი შეშხაპუნება, თუნდაც ერთობ ხანგრძლივი, არავითარ შედეგებს არ იძლეოდა) ავადმყოფი კლინიკურათ რჩება.

ჩვენ ბევრი შემთხვევა გვქონია ბახმაროზე ტროპიკული მალარიით შეპყრობილ ავადმყოფების, როდესაც ავადმყოფობა დადასტურებული



ქართული
ენციკლოპედია



კლდიანი ადგილები მდ. ბახვის წყლის ნაპირებთან.

იყო ლაბორატორიის საშვალეებით, და ასეთი ავადმყოფები საფრთხილი განიკურნენ. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ მძიმე შემთხვევებში ხშირად ბახმაროს ჰაერი ერთის დაკვირვებით ვერ მოქმედობს, მაგრამ თუ ავადმყოფი ისარგებლებს სისტემატიურათ ორიოდ სეზონით, ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სავსებით განიკურნება. უნდა ვითქვოდეთ, რომ ტროპიკული მალარია ბახმაროზე სისტემატიური ექიმობის შემდეგ რომელიმე ორგანოს მაგ. გულის ისეთ დაავადებას არ იწვევს, როგორც ეს ხანდახან ხდება ბარში, თუნდაც ენერგიული ექიმობის შემდეგ.

რაც შეეხება სიკვდილიანობის პროცენტულ რაოდენობას, ტროპიკული მალარიით ბახმაროზე ექიმობის შემდეგ, სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს ამისათვის საკმარის მასალა. ისე ჩვენ არ გვქონია შემთხვევა, რომ ბახმაროზე ყოფნის დროს ტროპიკული მალარიით ავადმყოფი მომკვდარიყოს.

ამასთანავე იყო შემთხვევები, როდესაც **სახტაკ კახექსიაში** მყოფი ავადმყოფები საერთოდ მალარიის ნიადაგზე ყოველივე მოლოდინის გარეშე ბახმაროზე სისტემატიური ექიმობის შემდეგ მოჩინდნენ.

დასასრულ მალარიის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ხშირად გვიკითხავს მძიმე ფორმის ქრონიკული მალარიით შეპყრობილ ავადმყოფთათვის, რომელთაც უწინ ეაქიმნათ საქართველოს სხვა აგარაკებზე, თუ როგორ გავლენას ამჩნევენ ისინი ბახმაროს ჰაერს. პასუხი მხოლოდ ერთი მიგვიღია: „საქართველოს არცერთი აგარაკის ჰაერს ისეთი ძლიერი გავლენა არ მოუხდენია ჩვენს ავადმყოფობაზე, როგორც ბახმარომ მოახდინა“.

მესამე კატეგორია ავადმყოფობის, რომელზედაც ბახმაროს ჰაერს განსაკუთრებული გავლენა აქვს, არის ე. წ. **ნევროზები**, ან როგორც ჩვეულებრივათ იტყვიან — „ნერვების სისუსტე“.

ჩვენის დაკვირვებიდან შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ბახმაროს ჰაერს ერთობ ძლიერი გავლენა აქვს ორ ფსიხო-ნევროზზე, სახელდობრ **ნევრასტენიაზე** (neurasthenia) და **ისტერიაზე** (isteria) აღბათ სხვა ნერვების სისუსტეზეც აქვს გავლენა ბახმაროს ჰაერს, მაგრამ, სამწუხაროდ, პირადი დაკვირვებები არა გვაქვს. ჩვენის დაკვირვებით და ღრმა რწმენით ნევრასტენიით შეპყრობილი ავადმყოფები, რომელთაც აგრეთვე **პსიხასტენიაც** ეტყობათ, როდესაც ჰაერით ექიმობას უმატებენ **ჰიდროტერაპიას** და განსაკუთრებით ე. წ. მზის აბანოთ ექიმობას, ბახმაროზე საოცარ ნერვიულ სისტემის გამაგრებას აღწევენ და ჩვეულებრივათ ბახმაროზე მოპოვებული ნერვიული ენერგია სავსებით ყოფნით მათ ბახმაროს მეორე სეზონამდის და შემდეგ სეზონებში მათი ნევრასტენია თანდათან სუსტდება, როგორც ავადმყოფობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მზის აბანოებს ბახმაროზე განსაკუთ-

რებული გავლენა აქვთ ნევრასტენიით ავადმყოფებზე და საერთო
როზებზე.



ო ბ ს მ რ ვ ა ც ი ა XI.

ავადმყოფი—მღვდელი, 35 წლის ს. კ. 1918 წ. გამოაჩნდა სასტიკი
ნევრასტენიის ნიშნები. ავადმყოფს თავის და წელის სასტიკი ტკივი-
ლები ჰქონდა, ამასთან სული ერთობ ეხუთებოდა. ავადმყოფი შეპყრო-
ბილი იყო საოცარი შიშით, რომ ტვინი და გული დიდხანს დაზიანებუ-
ლი უნდა იყოს.

ობიექტიურად ავადმყოფს გული ნორმალური ჰქონდა, მხოლოდ
ხან-და-ხან ემჩნეოდა გულის ფრიალი ნერვიულ ნიადაგზე. საერთო კვება
კარგი იყო, ფერი და მაღა კარგი, ფილტვები სრულიად ნორმალური
ჰქონდა. ავადმყოფს თავის ცოდნის, მახსოვრობის და ენერჯიის იმედი
არ ჰქონდა: მაგ. ის ვერ ბედავდა თავის სამრევლო ეკლესიაში წირვის
წესი შეესრულებინა.

ექიმებს ძლიერ ხშირად ნახულობდა და ხშირადაც იცვლიდა. მორ-
ჩენის იმედი სრულიად არ ჰქონდა. ხშირად ღამით არ სძინავდა, ყვე-
ლაზე უფრო თავის და წელის ტკივილები აწუხებდა. მისი დაჯერება
ექიმის მიერ შეუძლებელი იყო იმაში, რომ მას გული სრულიად და-
ზიანებული არ ჰქონდა. ასეთ ჰიპოხონდრიის ნიშნებთან ერთად ავადმ-
ყოფს ნათლად ემჩნეოდა პსიხასტენიის ნიშნები: ძლიერ ეშინოდა არ
გავფიქდეთ. გაფანტულობა დიდხანს ემჩნეოდა და გონებრივი შრომა
სრულიად არ შეეძლო: მაშინვე იღლებოდა და წაკითხულის გაგების
უნარი აღარ ჰქონდა. ხალხში ყოფნა და რაიმე პატარა მოძრაობა ძლიერ
ღაღავდა და მარტოობას ეძებდა. მელანქოლიური სულიერი განწყო-
ბილება ხშირად ემჩნეოდა. ავადმყოფი არაოდეს არ ყოფილა შეპყრო-
ბილი Lues-ით.

სათანადო ექიმობის შემდეგ ავადმყოფი ჩემ მიერ გაგზავნილ იქმნა
აგარაკ ბახმაროზე და პირველ სეზონს უკვე შეატყო გავლენა. მეორე
სეზონმა კი უფრო თვალსაჩინო გავლენა მოახდინა: ავადმყოფი ასე თუ
ისე ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდა და სხვათა შორის მღვდელ-
მოქმედების წესის აღსრულება დაიწყო.

შემდეგ ყოველ წლივით ბახმაროზე დადის, ჰაერით ექიმობას მზის
სხივებით ექიმობას უმატებს. ეხლა კი სრულიად მორჩენილად გრძნობს
თავს და საერთოდ ჩვეულებრივ ცხოვრებას ეწევა. განსაკუთრებული
არაფერი აწუხებს, მხოლოდ სულ ცოტათი შიშიანობა და მელანქო-
ლიური სულის კვეთება შერჩენია, მაგრამ ეს პატარა სიმპტომები სრუ-
ლიად აღარ უშლის ხელს ცხოვრებაში.



უნდა აღინიშნოს, რომ ბახმაროზე წასვლამდის ავადმყოფმა ხანს იექიმა, მაგრამ არავითარი გავლენა არ შეუმჩნევია ექიმობისათვის.

რაც შეეხება ისტერიას, უნდა აღინიშნოს, რომ ავადმყოფებს ბახმაროზე ამოსვლისას ხან-და-ხან ნერვიული სისტემის სასტიკი აღიზიანება ემჩნევათ. მე მქონდა რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც ისტერიამ მიიღო მძიმე რსტერიის სახე (grande hysterie) სასტიკი კონვულსიებით: ავადმყოფებს ლოგინზე ძლიერ აკავებდენ. ამასთანავე განაცხადეს მათმა ნათესავებმა, რომ ამის მზგავსი ბარში არაფერი გამოჩენიათ აღნიშნულ ავადმყოფებს.

მქონდა აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ისტერიით შეპყრობილ ავადმყოფებს ბახმაროზე გამოაჩნდათ ისტერიული ძილი, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა და გამოიწვია დიდი შიში ავადმყოფების ნათესავებში ასეთი შემთხვევები ყველანი ადრე მორჩენ სათანადო ექიმობით. შემდეგ იგივე ავადმყოფები ვნახე ბარში და ყველანი აცხადებენ, რომ ბახმაროზე ყოფნის შემდეგ ისეთი რაიმე არ გამოეორებულა და ნერვიული სისტემა ბახმაროზე ყოფნის შემდეგ ერთობ კარგათ აქვთ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბახმაროს ჰაერს აქვს დიდი თვისება ავადმყოფობის გამოჩენის.

ასევე ეპართებათ მალარიით შეპყრობილ ავადმყოფებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. ხშირად ბახმაროზე სასტიკი პაროქსიზმები გამოაჩნდებოდათ და შემდეგ სრულიად რჩებიან. თავისთავად ცხადია, რომ ბახმაროზე ორგანიზმის ეკვილიბრი ირღვევა და ბრძოლა სხეულის და ავადმყოფობის შორის სასტიკ ხასიათს ღებულობს. ქრონიკული ტუბერკულოზით შეპყრობილი ავადმყოფები ბახმაროზე ასვლისას ჰრველ ხანებში ხან-და-ხან უფრო ცუდათ გრძნობენ თავს, ვინემ ბარში და ბევრ მათგანს ჰგონია, რომ ბახმაროს ჰაერმა აწყინა.

ხშირად ბახმაროს ჰაერის ცხოველ-მყოფელ გავლენას ავადმყოფები ბარში ჩასვლის შემდეგ გრძნობენ: ბახმაროს ჰაერის გავლენა ავადმყოფზე ან იმავე სეზონში ხდება და ან ნელი-და-თანდათანობითია.

ერთობ ვასაკვირი გავლენა აქვს ბახმაროს ჰაერს საერთოდ არტერიოსკლეროზზე და მის შედეგებზე. მე ვიცნობდი ერთ მოხუცს, დაახლოებით 60 წ. ა. ი., რომელსაც სასტიკი არტერიოსკლეროზი მქონდა და ამ ნიადაგზე მას ერთ ხელში დაეტყო დამბლის ნიშნები. გაემგზავრა ბახმაროზე და ხუთი წლის განმავლობაში სისტემატიურად სარგებლობდა ბახმაროს სეზონით. შემდეგ ბახმაროს ჰაერთ არ უსარგებლნია, მაგრამ დამბლის ნიშნები მას შემდეგ აღარ გამოაჩენია და მისი მგომარეობა საერთოდ დიდათ გაუჩურობესებულია.

აგრეთვე მე ვიცნობდი ერთ მოხუც ექიმის თანაშემწეს პ. ი., რომ



მელიც შეპყრობილი იყო სასტიკი არტერიოსკლეროზით დაგზე ხან-და-ხან ემჩნეოდა ფსიხოზის ნიშნები. როდესაც თავს ცუდად შეატყობდა აღნიშნული ავადმყოფი, გაემგზავრებოდა ბახმაროზე, დაპყროფთა იქ მთელ სეზონს, შემდეგ ჩამოდებოდა ბარში და საექიმო პრაქტიკას ეწეოდა. მე მინახავს აღნიშნული ავადმყოფი ბახმაროზე, როდესაც მას ემჩნეოდა ფსიხოზის ნიშნები: ის ყველა ნაცნობს დაჯინებით სთხოვდა „მომკალითო“.

რამოდენიმე წლის წინეთ მას სურდა ჩაედინა თვითმკვლელობა, მაგრამ აღრე შეუტყვეს და გადაარჩინეს. ის ბახმაროზე ყოველ წლით დადიოდა. აღნიშნული ექიმის თანაშემწე გარდაიცვალა 1921 წ. ფილტვების ანთებით და შედარებით ნორმალურ ფსიქიურ მდგომარეობაში.

ბახმაროს ჰაერი ბევრ ავადმყოფობაზე ახდენს გავლენას, განსაკუთრებით სისხლნაკლებობაზე, მაგრამ ჩვენ შევვხეთ იმ ავადმყოფობათა კატეგორიებს, რომელთათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბახმაროს ჰაერი სპეციფიურია.

მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზებით გამოწვეულ ანემიაზე ბახმაროს ჰაერის გავლენა იმდენათ იშვიათია, რომ ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით მაინც შევვხეთ ამ საკითხს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშეთ, რომ საერთოდ მაღალი მთის ჰაერი იწვევს სისხლის წითელი ბურთულების თვალსაჩინოთ გამრავლებას და ხშირად შემოგლობინის მომატებას, რითაც ორგანიზმი ცდილობს შეეწყოს მაღალი მთით შეცვლილ ჰაერს. ეს თეორიული ცნობები საყსებით მართლდება ბახმაროზე თანახმად სამეცნიერო ექსპედიციის ლაბორატორული ანალიზების შედეგებისა.

სამეცნიერო ექსპედიციაზე 1922 წ. სეზონში, რაჰდენათ ვიცით, განსაკუთრებით ძლიერი შთაბქდილება მოახდინა საოცარი სისხლის ცვლილებებმა ბახმაროს ჰაერის გავლენით. ექსპედიციას ჰქონდა ბახმაროზე მოწყობილი ლაბორატორია ექიმ ჩიჯავაძის ხელმძღვანელობით.

აღნიშნულმა ლაბორატორიამ გააკეთა სისხლის მრავალი ანალიზი. 1923 წლის სეზონში ექიმ ჩიჯავაძეს კიდევ ჰქონდა მოწყობილი ბახმაროზე ლაბორატორია იმავე სეზონში ლაბორატორული ანალიზებს განსაკუთრებით ანემიის და მალარიის შესახებ აკეთებდა უნივერსიტეტის ასისტენტი ნ. მახვილაძე.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ პათოვცეპტული ექიმები თავიანთ ანალიზების შესახებ დეტალურ ცნობებს გამოაქვეყნებენ. ჩვენი პატარა პოპულიარული შრომის მიზანს კი სრულიად არ შეადგენს ლაბორატორული ანალიზების შესახებ დეტალური ცნობების აღწუსება.



სიმონ
ციციანი

65835260.



ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ თანახმად მრავალი ანალიზისა, რომლებიც ჩვენ პირადათ ვნახეთ, სისხლის ცვლილებები ბახმაროზე დიალია: ხშირია შემთხვევები, როდესაც 10-15 დღის განმავლობაში ჰემოგლობინი მატულობს 20-30 პროცენტით და სისხლის წითელი ბურთულები 1-2 მილიონით კუბიკურ მილიმეტრში. ყველაზე უფრო თვალსაჩინო გავლენას ბახმაროს ჰაერი ახდენს მაღარით გამოწვეულ ანემიაზე. ჩვენ არ გვინახავს არცერთი ფორმა **ანემიისა**, რომელზედაც ბახმაროს ჰაერს არ მოეხდინოს ძლიერი გავლენა.

ზემოაღნიშნული ლაბორანტები პირდაპირ განცვიფრებაში მოყავდა სისხლის იმ საოცარ ცვლილებებს, რომელსაც ისინი ნახულობდნენ ბახმაროს ჰაერის გავლენით.

თვით „ურწმუნო თომებიც“, რომლებიც ნახულობდნენ ლაბორანტორულ ანალიზებს, იძულებულნი იყვნენ აღეარებინათ, რომ რაც შეეხება სისხლის ცვლილებებს, ამ მხრით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბახმაროს თითქმის პირველი აღვლილი უჭირავს საქართველოს აგარაკთა შორისო.

პროფ. ალადაშვილის აზრით, ისეთ ჰემოგლობინის მომატებას სისხლში, როგორც ბახმაროს ჰაერის გავლენით ხდება, სხვა აგარაკებზე იმდენათ ვერ ვაძინევთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბახმაროს ჰაერის გავლენა სხვა-და-სხვა ანემიებზე ერთობ რთული და მრავალ-ფეროვანია.

საერთოდ ეს საკითხი რთულია და ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ის პათივცემული ექიმები, რომლებიც აწარმოებენ სერიოზულ გამოკვლევებს სისხლის ცვლილებების შესახებ ბახმაროს ჰაერის გავლენით, სავსებით გამოარკვევენ ამ საკითხს.

უნდა აღვნიშნავს, რომ ბახმაროს ჰაერს შედარებით ადვილად იტანებენ სხვა-და-სხვა კატეგორიის ავადმყოფები. ყველაზე უფრო ღირს-შესანიშნავია, რომ გულის ორგანიული დაავადებით, როგორც მაგ. გულის სკლეროზია (Myocarditis) ავადმყოფები, შედარებით ადვილათ იტანებენ ბახმაროს მაღალ ჰაერს, თუ გული თვალსაჩინოთ გადიდებული და გაგაჩივრებული არ აქვთ, რაც გასაკვირია, ვინაიდან, საერთოდ ბუნების მიხედვით, ასეთ ავადმყოფებზე მაღალი ჰაერი საერთოდ საზიანო გავლენას ახდენს.

უნდა ვიფიქროთ, რომ გულის ორგანიული დაავადება, გარდა სკლეროზისა, უფრო ძლიერდება ბახმაროზე, მაგ. გულის საფარის მოშლილობა. ორგანიულათ დაზიანებული გულის დეკომპენსანცია შედარებით უფრო ადვილათ ხდება ბახმაროზე, ვინემ ბარში. რამოდენიმე წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი შემთხვევა მახსოვს მხოლოდ და-მხოლოდ გულით სიკვდილისა ბახმაროზე, ისე რასაკვირველია, როდესაც ავადმყოფს შეატყობენ საშიშ გულის მოშლილობას, დაჩქარებით მიყავთ

ბარში და ალბათ ამით აიხსნება, რომ ბახმაროზე გულით იშვილია.

რამოდენიმე წლის წინეთ მე ვინახულე ბახმაროზე ავადმყოფი ვ. კ., რომელიც ფიზიკური ენერჯის დახარჯვის შემდეგ გაჩხარდებოდა. ავადმყოფს გულის საოცარი სიგანიერე და ჰიპერტროფია ეტყობოდა.

ბარში სასტიკი სულის ხუთვა ჰქონდა. ბახმაროზე ექიმის დაუკითხავად ასვლის შემდეგ, დაახლოებით ათ დღეში, ავადმყოფი ფიზიკური შრომის შემდეგ ლოგონათ ჩავარდნილა და ოთხ დღეში, მიუხედავად ენერჯული ექიმობისა, უცბათ გაზღაიცივალა გულის დამბლით. მიცვალებულის გვამი განკვეთილ იქმნა ქ. ოზურგეთში და მართლაც აღმოჩნდა გულის საოცარი სიგანიერე და ჰიპერტროფია (coeur de boeuf.)


შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ავადმყოფი ბახმაროზე არ წასულიყო, განსაკუთრებული ჰიგიენის დაცვით რამოდენიმე წელს იცოცხლებდა, ვინაიდან სხეული საერთოდ ერთობ ჯანსაღი იყო, გარდა სასტიკად დაზიანებული გულისა.

როგორც სჩანს, თუ ბახმაროზე მოხდა სასტიკად დაზიანებული გულის მოძრაობის დეკომპენსაცია, გულს აღარ ძალუძს ბახმაროს ჰაერში თავის ცოტათ თუ ბევრათ, ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდეს. ზემო აღნიშნულის გამო თავისთავად ცხადია, რომ იმ ავადმყოფთათვის, რომელთაც აქვთ გულის საფარის (კლაპანების) სერიოზული მოშლილობა და ან გულის თვალსაჩინო სიგანიერე და ჰიპერტროფია, მათთვის სერიოზული „რისკა“ ბახმაროზე წასვლა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გულის სისუსტეზე, სხვა-და-სხვა მიზეზებით გამოწვეულზე, ბახმაროს ჰაერი ისეთ ცუდ გავლენას არ ახდენს, როგორც შესაძლებელი იყო გვეფიქრა. ვისაც გადაჭარბებული სიმსუქნე აქვს, ბახმაროს ჰაერის გავლენით ხან-და-ხან კლებულობს წონაში და უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ შემთხვევებში გულის ქონიც კლებულობს და თავისთავად ცხადია, რომ გულის მოძრაობაზე ქონის დაკლება კარგ გავლენას ახდენს.

ტუბერკულოზით შეპყრობილი ავადმყოფები, მიუხედავად გულის მოშლილობისა, შედარებით კარგად იტანებენ ბახმაროს ჰაერს, თუმცა ბახმარო ერთობ მაღალი კურორტია. ტუბერკულოზით ავადმყოფები, რომელთაც დიდი ტახაკარდა ემჩნევათ ბახმაროზე, ხშირად უფრო ცუდათ არ გძნობენ თავს, პირიქით, თუ აღნიშნული ტახაკარდია ტოქსიური მოვლენებით არის გამოწვეული, მაშინ გული უფრო მაგრდება.

ჩვენ გვქონდა რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც ავადმყოფს ნება



მდინარე ბახვის წყლის ჩქერი,



არ დავრთვით ბახმაროზე წასვლის გულის მდგომარეობის გამო. დაიათ ამისა ავადმყოფები ბახმაროზე მაინც წავიდნენ და გულის მხრივ განსაკუთრებული უარესობა არ შეუქმნევიათ.

დს სრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად დებულებისა, რომლის თანახმაა მიღებულია, რომ რამდენათ მთა მაღალია, იმდენათ უფრო ადვილათ იწვევს ტუბერკულოზით შეპყრობილ ავადმყოფებში პირიდან სისხლის ამოფურთხებას, საბედნიეროთ, ბახმაროზე ეს ასე არ ხდება. ჩვენის დაკვირვებით (ამ მხრით საინტერესოა აღნიშნული მე-2-ე ობსერვაცია), ტენდენცია პირიდან სისხლის-დენისადმი ბახმაროზე საგრძნობლად არ მატულობს, თუქცა ზოგიერთი ძეცნიერების აზრით მაღალი მთა თავისთავად პირიდან სისხლის დენას არ იწვევს, თუ ტუბერკულოზით ავადმყოფი არ მოძრაობს.

ჩვენ ვგულისხმობთ პირველ და მეორე პერიოდში მყოფ ტუბერკულოზით შეპყრობილ ავადმყოფებს. რაც შეეხება განვითარებულ მესამე პერიოდს, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ავადმყოფებზე ბახმარო კარგ გავლენას ვერ ახდენს. როდესაც ავადმყოფებს ფილტვებში განვითარებული კავერნები აქვთ, ხშირად ბახმაროზე უარესად ხდებიან, განსაკუთრებით ხან-და-ხან ემჩნევათ პირიდან სასტიკი სისხლის დენა, რომლის შეჩერება შეუძლებელი ხდება.

განვითარებულ მესამე პერიოდში მყოფ ავადმყოფებს, მგონი, არც ერთი ექიმი არ ურჩევს ისეთ მაღალ აგარაკზე წასვლას, როგორც ბახმაროა. მხოლოდ ზოგიერთი უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი ქლექიანები ექიმებს არ უჯერებენ და მაინც მიდიან ბახმაროზე. თავისთავად ცხადია, რომ იძულებული ხდებიან, ადრე დასტოვონ ბახმარო.

როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, ბახმაროზე საზოგადოთ სხეულის ეკილიბრი საოცრად ირღვევა და სასტიკი გადამჭრელი ბრძოლა იწყება ავადმყოფობასა და სხეულს შორის. ყველასათვის ნათელია, რომ ტუბერკულოზის განვითარებულ მესამე პერიოდში მყოფი ავადმყოფების ორგანიზმი ერთობ სუსტი რჩება ამ გაშმაგებულ ბრძოლაში და ულმობელი სენი უკანასკნელ ლახვარს სცემს ავადმყოფის სხეულს.

ეს ორი თვისება ბახმაროსი, სახელდობრ: გულსუსტ ავადმყოფებზე, გარდა გულის სერიოზული ორგანიული დაავადებისა, ბახმარო ცუდ გავლენას საერთოდ არ ახდენს, ტუბერკულოზით შეპყრობილ ავადმყოფებში პირიდან სისხლის დენას განსაკუთრებით ბახმაროს ჰაერი არ იწვევს პირველ და მეორე პერიოდში—უნდა ჩაითვალოს აგარაკ ბახმაროს დიდ დადებით მხარეთ (თვისება). როგორც ცნობილია, გულის სისუსტე და პირიდან სისხლის დენა ტუბერკულოზით შეპყრობილ ავადმყოფებში, სამწუხაროდ, საერთოდ ხშირი მოვლენაა და, თუ აგარაკი ბახმაროს ჰაერა ამ სიმპტომებს უფრო არ ამწვავებს, ეს ერთობ სასარ-

გებლოა ავადმყოფთათვის და ამის გამო დიდ უმეტესობას ტუბერკულოზით შეპყრობილ ავადმყოფებს შეუძლია ავიდეს ბახმაროზე და სხვა რთხე მათ სიცოცხლეს არ მოეღოს, განკურნება კი მათი ულმობელი სენისაგან ხშირი მ-ვლენაა.

მოსკოვის უნივერსიტეტის ცნობილ პროფესორს—**კისელს**, რომელმაც შემთხვევით, როგორც **ტურისტმა** ინახულა ბახმარო, ხანგრძლივი მიწერ-მოწერა ჰქონდა ჩვენთან ბახმაროს შესახებ. მოსკოვის ექიმთა საზოგადოებაში კისელმა ორჯერ გააკეთა მოხსენება ბახმაროს შესახებ, ერთი ასეთი სათაურით: „**ქართული სამკურნალო ადგილი ბახმარო**“. როდესაც კისელი ცოტათ თუ ბევრათ გაცნობილი იყო ბახმაროს თვისებებს, თავის უკანასკნელ წერილში ჩვენ პირდაპირ გვწერდა: „**მე ვთვლი ბახმაროს იდეალურ ადგილად კურორტისათვის**“.

კისელს გადაწყვეტილი ჰქონდა ტფილისში ჩამოსვლა და საკურორტო ყრილობაზე, რომელიც უნდა მომხდარიყო მაისში 1917 წ. დასწრება, მაგრამ რუსეთის რევოლუციის დაიწყება და კისელმა თავისი გეგმა სისრულეში ვერ მოიყვანა. ეს გეგმა გამოიხატებოდა იმაში, რომ კისელს სურდა ვრცელი მოხსენება გაეკეთებია აგარაკ ბახმაროს შესახებ საკურორტო ყრილობაზე.

უმთავრესად მალარის ნიადაგზე დაავადებული და ყველა მაზრაზე უფრო ავადმყოფი ოზურგეთის მაზრა პირდაპირ ცოცხლობს ბახმაროთ.

ასეთი აგარაკი არის უპატრონოთ მიტოვებული, გზა ჯოჯოხეთურია. სანიტარული მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი: აუარება სხვადასხვა მოხეტიალე ცხოველებით სავსეა ბახმარო. მშვენიერი, ერთობ მდიდარი ნაძვნარი, რომელიც აგარაკ ბახმაროს აკრავს, უპატრონოთ არის მიტოვებული: ზოგიერთი სოფლები ყოფილივე მახინაცვებს ხმარობენ, რომ ნაძვები შეხმეს და შემდეგ სახლეზის მასალათ და ან შეშათ გამოიყენონ. ფიჭვის ხეებიდან კი ყავარს ხდიან და გურიის სოფლებში მიჰქვთ. ამის გამო ეს ყოფილი მშვენიერი, იშვიათად მდიდარი ნაძვნარი, სრული მოუვლელობის გამო, თითქმის ნახევარზე მეტი განადგურებულია. ამით აიხსნება, რომ ბახმაროზე უკანასკნელად ცოტათი უფრო ემჩნევა ქარის მოძრაობა, რაც უწინ არ ემჩნეოდა.

ძალაუნებურათ ეკითხები თავის-თავს, რომ თუ ასეთ **აუტანელ ჰიგიენურ-სანიტარულ** პირობებში ბახმაროს ისეთი გავლენა აქვს ავადმყოფზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როგორი სასწაულებრივი გავლენა ექნებოდა ბახმაროს ჰაერს, რომ აგარაკზე ნამდვილი კურორტული წესრიგი არსებობდეს და ჯოჯოხეთური გზა ავადმყოფებს საშინლად არ სტანჯავდეს მოგზაურობის დროს.

ჯერ-ჯერობით, მხოლოდ ბახმაროზე სამეცნიერო ექსპედიციის ასვლის შემდეგ, ბახმარო გამოკვლევულია **სახელმწიფოებრივი მნი-**



ქართული
ბიბლიოთეკა



სოფ. მ.
ს. 1074.

ჩანჩქერი მდინარე ბახვის წყალზე საბანაო ადგილებით.

შენელობის ოფიციალურ კურორტათ, უნდა ვიფიქროთ, რომ **ბასმა**
როს სახელმწიფოებრივ აგარაკად ცნობას მოყვება სათანადო შეფასება

თუ სასწრაფო გადამკრელი ზომები არ იქნა მიღებული ნაძვანარის
შესანახად და საერთოდ აგარაკის წესრიგში მოსაყვანად, რასაკვირვე-
ლია, სათანადო ბაზმაროს გზის გაყვანასთან ერთად, აღნიშნული ნაძ-
ვანარი ახლო-მოშავალში სრულიად განადგურდება და ბაზმაროც, რო-
გორც აგარაკი, სამუდამოდ მოიხსობა, რაც, თავის-თავად ცხადია, უდი-
დეს ისტორიულ დანაშაულათ ჩაითვლება საექიმო-სასანიტარო
დარგში.



ფასი 70 კპპ.

ყდა და კლიშეები დაბეჭდილია გამომც. „ფუნარა“-ს
სტამბაში. ქ. ბათომში. დან. 679. მთავლიტი № 805

551